

24 საათი

"24 საათის" ფიქიანი ნომერი

*2424

პრესომბუდსმენი

A3



ბანარენი

პატრულ-ინსპექტორს

A5



ამერიკული მარშრუტი რუსეთის ბავლით

A7



მძიმა არჩევანი

ანდრეი ილარიონოვი რუსული აგრესიის მიზეზების შესახებ

დოქტორი ავალიანი

საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის მთავარი მიზეზი პოლიტიკური რეჟიმების შეუთავსებლობაა - ავტორიტარულ რუსეთს დემოკრატიული საქართველოს განადგურება სურს, - ასე მიიჩნევს პრეზიდენტ პუტინის ყოფილი მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში, აშშ-ში მოქმედი "გლობალური თავისუფლებისა და განვითარების ცენტრის" ექსპერტი ანდრეი ილარიონოვი. "24 საათი" ილარიონოვს "თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში" წაკითხული ლექციის შემდეგ გაესაუბრა; ძირითადი თემა რუსეთ-საქართველოს ომი გახლდათ. ანდრეი ილარიონოვი მიიჩნევს, რომ რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ წინასწარ დაგეგმილი და კარგად მომზადებული აგრესია განახორციელა.

- რა მიზნით იმყოფებით ამჟამად საქართველოში?

- ბოლო დროს ვცდილობ, საქართველოში მეტ-ნაკლებად რეგულარულად ჩამოვიდე. ამას მთელი რიგი მიზეზები აქვს. ის, რაც საქართველოში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გაკეთდა, უპრეცედენტოა. ჩატარებული რეფორმების მასშტაბებით, სიჩქარით, სიღრმით, სერიოზულობითა და რადიკალურობით მსოფლიო ომის შემდგომ ისტორიაში ამას ანალოგი არ გააჩნია. თუ გავიხსენებთ საქართველოს 90-

იანი წლების ისტორიას, არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ 10-15 წლის განმავლობაში საქართველო "არშემდგარ", განწირულ სახელმწიფოდ განიხილებოდა და არავინ ელოდა, თუ მას რამე ეშველებოდა. არსებობდა იმის შეგრძნება, რომ ამ მოჯადოებული წრიდან გამოსვლა შეუძლებელია. რაც იმ ხალხმა გააკეთა, ვინც ხელისუფლებაში აღმოჩნდა, რეალურად სასწაულს წარმოადგენს.

ბაზრძალაბა A4 გვირგვინი



საკულარიზაციის ვნებები

ბია ნოდია

სკანდალმა „დიდი ათეულის“ გარშემო შეგვახსენა, რომ სეკულარიზმის თუ ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის პრობლემა საქართველოში მტკიცეა, რაც სრულიად ნორმალურია - იგ-

ვე ითქმის მრავალ განვითარებულ დემოკრატიაზე. ჩვენ ამ უკანასკნელთაგან განგვახსვენებს ის, რომ ამ თემაზე საჯაროდ თითქმის არ ვდავობთ - თუმცა საზოგადოების ინტერესი აშკარაა. უკანასკნელ სკანდალს კიდევ ახასიათებს კონტრასტი ზოგადი თემის მნიშვნელობასა და საბაბის

ერთგვარ სიმჩატეს შორის. როგორც კი ეკლესიის მხრიდან პრეტენზიები გაისმა, ბევრს გაახსენდა, რომ ეს პროექტი მრავალ მართლმადიდებელ ქვეყანაშიც განხორციელებულა. ესე იგი, მართლმადიდებლურ პრინციპებთან მწვავე კონფლიქტზე საუბარი ცოტა რთულია, ან ჩვენი ასეთი

გამორჩეულობა ვილაცამ უნდა აგვიხსნას. ამასთან, პრეტენზიები გაისმა არა მარტო, როდესაც პროექტი იწყებოდა, თანაც ეკლესიის მსახურთა საკმაოდ აქტიური მონაწილეობით, არამედ როდესაც ის დასკვნით სტადიაზე გადავიდა.

ბაზრძალაბა A2 გვირგვინი

სტიქია იმართები

ბაია მცხვარიშვილი

კათალიკოსი

ქუთაისში სტიქია ორი დღის განმავლობაში მძვინვარებდა. გრივალის შედეგად ქალაქში რამდენიმე ასეული შენობის სახურავი დაზიანდა. მწყობრიდან გამოვიდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, რის გამოც დასავლეთ საქართველოში ათასობით აბონენტი ამ დრომდე შუქის გარეშეა დარჩენილი. სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ზუსტი ოდენობა ჯერჯერობით დაუთვლელია. წინასწარი ინფორმაციით, იმერეთის რეგიონს, სავარაუდოდ, 5 მილიონი ლარის ზარალი მიადგა.

სტიქიამ ქუთაისს 23 იანვარს შეუტია. ქარის სიჩქარე აქ მთელი ორი დღის განმავლობაში წამში 28 მეტრს აღწევდა. გრივალმა ქუჩებში რამდენიმე ათეული ხე მოთხარა.

ბაზრძალაბა A2 გვირგვინი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

BORJOMI
ბორჯომი

GRDC group

ჰი ჰი ჰი
მანის სადაზღვეო ჯგუფი

თვალსაზრისი

საქულარიზაციის ვნებები

პირველი გვერდიდან

მანამდე არაუშავდა წმინდანების „შეჯიბრს“? ერთადერთი ახსნა გამოდის ქ-ნ მანანა არჩვადე-გამსახურდას საპროტესტო აქცია, რომელსაც, როგორც ბოროტმა ადამიანებმა მაშინვე გამოითვალეს, „კონკურსში“ მონაწილე გარდაცვლილი მეუღლისთვის სახიფათო კონკურენტების ჩამოშორება უნდოდა და ბედად მათი წმინდანობა გაახსენდა. მაგრამ როდის დადის ეკლესია ქ-ნი მანანას ჭკუაზე? ამის დაჯერებაც ძნელია.

უკვე ბევრი ითქვა იმაზე, რომ სატელევიზიო პროექტის წარმოდგენა შეჯიბრად დიდ (წმინდან თუ არაწმინდან) ქართველებს შორის, ანუ, როგორც გიგი თევზაძემ თქვა, „ზეციური საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებად“, თავისთავად აბსურდის ვითარებაში გვაგდებს. „დავით ყიფიანი უფრო კარგი ფეხბურთელი იყო თუ ნიკოლოზ ბარათაშვილი - უფრო კარგი პოეტი? არა, ბებიაჩემი უფრო კარგ ხარჩოს აკეთებდა“. ცხადია, რომ პროექტის არსი სულ სხვაა. ამაზე საუბრის გაგრძელება არ ღირს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მთავარი ეს პროექტი ხომ არ არის?

მაინც რაშია პრობლემა?

ის, რომ ეკლესიას უნდა, ერთ-ერთი ყველაზე მეტად მას დაუჯეროს, სრულიად ბუნებრივია. საპირისპირო ვითარება იქნებოდა პათოლოგია. თუკი „თანასწორობის ინსტიტუტს“ შეუძლია კატეგორიული მოთხოვნების დაყენება, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის სათაყვანებელ ეკლესიას ვინ აუკრძალავს რამეს?

ის, რომ ეკლესიას დღეს აღარ უკავია ის ცენტრალური ადგილი საზოგადოებაში, რაც შუა საუკუნეებში ჰქონდა, არ ყოფილა მისი არჩევანი ან შიდა ევოლუციის შედეგი: მისი გავლენა შესუსტდა, რადგან საზოგადოება ადგილი დაკარგა, ხოლო ეკლესიას ამ ცვლილებებთან შეგუება მოუხდა. მაგრამ ნებისმიერ ქვეყანაში ეკლესია ყოველთვის შეეცდება, გააფართოვოს თავისი გავლენა და ისე შორის წავა, როგორც შეეძლებს.

პირველი გვერდიდან

“მანქანა სახლის წინ, ეზოში დაყავნე. უცებ ძლიერი ხმა გავიგონე, გარეთ გამოვარდი და არც ვხედავ - ქარს უშვავდებილი ნაძვის ხე მოეთხარა, რომელიც ჩემს მანქანას დაცემოდა,” - ამბობს ქუთაისში მცხოვრები ვახტანგ ნიშნიანიძე.

ძლიერმა ქარმა ქუთაისში რამდენიმე შენობას გადახადა სახურავი. არასაუწყებო დაცვის პოლიციის თანამშრომლებმა საკუთარი თვალთ დაინახეს, როგორ მოგლიჯა გრიგალმა პოლიციის ახლად გარემონტებულ შენობას სახურავი. ძლიერი ქარის შედეგად, საერთო ჯამში, ქუთაისში 300-მდე შენობის სახურავი დაზიანდა.

მისი შემზღვეველია ეკლესიისა და სახელმწიფოს გამოჯენის პრინციპი, რაც ერთ-ერთი ძირითადია, რაც თანამედროვე ეპოქას შუა საუკუნეებისგან განასხვავებს. ის მომდინარეობს არა ფილოსოფიიდან, არამედ პრაქტიკული აუცილებლობიდან: ისტორიამ დაადასტურა, რომ სადაც არ არსებობს დისტანცია ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, ვერ იქნება მშვიდობა, რადგან იზრდება რელიგიური ომების ალბათობა. ევროპული ლიბერალიზმი სწორედ გაუთავებელი რელიგიური ომებიდან გამოსავლის ძიებამ წარმოშო. გარდა ამისა, ასეთ ვითარებაში ძნელია პიროვნების თავისუფლებაზე საუბარიც, რადგან მისი ქვაკუთხედი ან სინდისის, ანუ მრწამსის თავისუფლება. მეორეს მხრივ, ხელისუფლებასთან ზედმეტი სიახლოვე ეკლესიის მორალურ ავტორიტეტსაც აკნინებს - ახალ დროში ამის მრავალი მაგალითიც გვაქვს. იმავე ევროპაში რელიგიურობის დონე განსაკუთრებით იმ ქვეყნებში დაეცა, სადაც სახელმწიფო ეკლესიის ტრადიცია არსებობს.

მაგრამ უდიდესი გულბურვილობა იმის ფიქრი, რომ ლიბერალურ დემოკრატიაში ამ პრინციპის განხორციელება ადვილად და სრულად შეიძლება. ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში ეკლესია არა მარტო ცდილობს გავლენის გაფართოებას, არამედ გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს. ამის საფუძველს მას დემოკრატიული მექანიზმები აძლევს: ეკლესიის მრევლი ხომ იგივე ამომრჩეველია, რასაც ის დაუჭერს მხარს, ის უნდა მოხდეს. თუ საზოგადოების დიდი ნაწილი ეკლესიურია, ეკლესიას სრულიად ლეგიტიმური საფუძველი აქვს, მოახდინოს გავლენა პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაზე. თუ ის ამას ვერ აკეთებს, არა იმიტომ, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიის გამოჯენა კონსტიტუციამ დაფიქსირებული, არამედ იმიტომ, რომ ხალხი მაინცდამაინც არ უსმენს ეკლესიას, ან თავად ეკლესია ვერ ახერხებს მისი რესურსების ეფექტურ გამოყენებას, ან საზოგადოების სეკულარული ნაწილი აქტიურ წინააღმდეგობას უწევს.

ამიტომ ლიბერალების ზედმეტი გალიზიანება იმის გამო, რომ ეკლესია „ერევა“ იმაში, რაც მისი საქმე არ არის, უსაგნო და არაპერსპექტიულია: მთავარია, ეკლესიამ კონსტიტუციით დადგენილი წესებით იმოქმედოს.

ასევე არ უნდა გაგვივივდეს, როცა პოლიტიკოსები ეკლესიასთან პოლიტიკურ თამაშებში შედიან ან სხვის დასახნად ეკლესიურობის დემონსტრირებას ახდენენ. ეს შეიძლება მორალური პოზიციიდან არ მოგვეწონოს და „ფარისევლობა“ დავარქვათ. მაგრამ რელიგიის გამოყენება პოლიტიკის ინტერესებში ისევე ძველია, როგორც პოლიტიკა. სანამ პოლიტიკეტიკოსები დაუდასტურებენ, რომ ეკლესიას მაღალი ავტორიტეტი აქვს ხალხის თვალში, დემოკრატია პოლიტიკოსები ასე მოიქცევიან, რაც გინდა კი-ცხონ ლიბერალმა ინტელექტუალებმა.

მწუხარე სეკულარისტები

ესე იგი, რაში გამოვიდა პრობლემის ძირი? ის იმ ხალხშია, ვისაც არ მოსწონს ეკლესიისა და სახელმწიფოს, ან ეკლესიისა და პოლიტიკური კლასის დღევანდელი ურთიერთობის წესი, მაგრამ არაფერს ამბობს. აქტიურია მხოლოდ ფუნდამენტალისტ ლიბერალთა მცირე ჯგუფი, რომელთა შორის განსაკუთრებით ბევრია გულაცრუებული სემინარისტი. არანაირად არ მინდა ამ დამიანთა მიმართ უპატივცემულობა გამოვხატო, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა, რომ მათაც ხშირად რადიკალური და არარეალისტური მოთხოვნები აქვთ.

ასეთ ვითარებას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი არის ის, რომ ჩვენ თითქმის არ ვდავობთ იმაზე, რაზეც პოლიტიკოსები არ დავობენ. ეს საქართველოში საზოგადოების სისუსტის ყველაზე თვალსაჩინო მაჩვენებელია. თვლება, რომ საჯარო დებატები ნიშნავს კამათს პოლიტიკოსებს შორის, ან არაპოლიტიკოსების კომენტარებს იმაზე, რას ამბობენ და აკეთებენ პოლიტიკოსები. საჯარო დისკუსიის დღის წესრიგს პოლიტიკური კლასი გან-

საზღვრავს, ხოლო საზოგადოება მიჰყვება მას, და არა პირიქით.

ამ საკითხზე საჯარო დისკუსიის არარსებობა კონფორმიზმის განსაკუთრებული სიძლიერის მაჩვენებელიცაა. ეს ტერმინი ჩვენში უფრო პოლიტიკურ კონტექსტში გახდა პოპულარული: კონფორმიზმს ვხვდებით მთავრობის მხარეში, ვინც მთავრობას არ აკრიტიკებს. ეს სრული გაუგებრობაა: მთავრობის ხმამაღლა კრიტიკოსები ჩვენ არ ვგაქვით, მათ შეუძლიათ მხოლოდ ადეკვატური ტრიბუნების ნაკლებობაზე დაიჩივონ. კონფორმიზმი ნიშნავს ინდივიდის მორჩილებას სოციალური გარემოს (და არა მაინცდამაინც ფორმალური ხელი-სუფლები) ზეწოლის მიმართ. მთავრობის კრიტიკა საზოგადოებისთვის არა მარტო მისაღებაა, არამედ გარკვეულ წრეებში სრულიად აუცილებელიც. მე რომ მკითხო, ვინც 2007 წლის ნოემბერში ვაკეში ცხოვრობდა და ხელისუფლებას არ აგინებდა, ნამდვილი ნონ-კონფორმიტი იყო. მაგრამ ეკლესიისგან განსხვავებული აზრის გამოთქმას ვაცილებით მეტი გამბედაობა სჭირდება.

დაბოლოს, არის კიდევ რეალობის არასწორი შეფასება. ბოლო თხუთმეტი წელი საქართველოში ეკლესიის განსაკუთრებული გაძლიერების პერიოდი - ეს ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეული ხანა ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ამან - და შესაბამისმა პოლიტიკურმა კონიუნქტურამ - ერთგვარ ფატალისტურ პესიმიზმში ჩააგდო ლიბერალიზმი და სეკულარულად განწყობილი წრეები. მაგრამ ფაქტები ამის საფუძველს არ იძლევა. თუ ეკლესიისა და სახელმწიფოს გამოჯენის აბსტრაქტულ იდეალს კი არ შევხვდებით, არამედ დემოკრატიულ ქვეყნებში არსებულ პრაქტიკებს, საქართველოში არაფერი განსაკუთრებულიც არ ხდება. ეკლესია აყენებს მისთვის სრულიად ბუნებრივ პრეტენზიებს, რომელთაგან ზოგიერთი კმაყოფილდება, ზოგიერთი კი - არა. რა არის ამაში არაჩვეულებრივი? უჩვეულო მხოლოდ საერთო საზოგადოების დუმილი და გაუბედავობაა.

სტიქია იზარათში

მოტანილი სესხებით მოვანყვით და მთლიანად განადგურდა. რაღა გვეშველება ანი, არ ვიცით. ვთხოვთ მთავრობას, როგორმე დაგვეხმაროს,” - ამბობენ აღნიშნული სოფლების მცხოვრებლები.

“სახელმწიფოს ყურადღების გარეშე არც ერთი დაზარალებული არ დარჩება,” - ამბობს იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის პირველი მოადგილე ლაშა კილაძე.

იმერეთის რეგიონის მასშტაბით 40-მდე სკოლის შენობა დაზარადა სახურავის გარეშე. დასავლეთ საქართველოში მაღალი ძაბვის გადამცემი 15 ხაზი დაზიანდა, რის გამოც ელექტროენერჯის მიწოდება 200 ათასამდე ოჯახს შეწყვეტა. როგორც „ენერგო-პრო

ჯორჯიაში“ აცხადებენ, სტიქიით გამოწვეული დაზიანებები დღეისათვის სრულად აღმოფხვრება.

გრიგალის გარდა, იმერეთში საგანგებო მდგომარეობა ხანძარშიც შექმნა. ცეცხლის კერა გუშინ ხონის რაიონის სოფელ დედალაურთან გაჩნდა.

“იყო სერიოზული საფრთხე, რომ ხანძარი სოფლის მოსახლეობის მიმართულებით გავრცელებულიყო, ასევე ხონის კოლონიის მიმართულებით, მაგრამ, საბედნიეროდ, ხანძრის ლოკალიზება დროულად მოხერხდა,” - ამბობს ლაშა კილაძე.

ცეცხლის ჩაქრობაში, სახანძრო ბრიგადების გარდა, ჯარისკაცებიც მონაწილეობდნენ. ხანძრის გამომწვევი მიზეზები ამ დრომდე უცნობია.

ბაკოიანისი კმაყოფილია

ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე, საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დორა ბაკოიანისი ცხინვალის რეგიონში გაზის მიწოდების აღდგენას მიესალმება, - ამის შესახებ ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი, რომელიც ორგანიზაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

“მე კმაყოფილი ვარ მხარეების კონსტრუქციული მიდგომით, რამაც ამ ჰუმანიტარული პრობლემის გადაჭრა შესაძლებელი გახადა,” - განაცხადა დორა ბაკოიანისმა.

მისი თქმით, გაზსადენის მონიტორინგის პროცესში ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის სპეციალურ წარმომადგენელ ხარალამპუს ხრისტოპოლუსის მინაწილეობამ აჩვენა, რომ უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად თანამშრომლობაში ეუთო სასიცოცხლო როლს ასრულებს.

ბაკოიანისმა ასევე მზადაყოფნა გამოთქვა, ეუთო რეგიონში სხვა, მათ შორის, წყლის მიწოდების პრობლემის მოგვარებაში ჩაერთოს.

“ასევე სასწრაფოდ გადაჭრას საჭიროებს წყლის მიწოდების პრობლემა. ჩვენ ვაპირებთ, წყალსადენის მდგომარეობა მაშინვე შევაფასოთ, როგორც კი ამინდი ამის საშუალებას მოგვცემს,” - განაცხადა ბაკოიანისმა.

ცხინვალის რეგიონს ბუნებრივი აირის მიწოდება გუშინ აღუდგა, რაც აგარა-ცხინვალის გაზსადენის აღდგენის შემდეგ მოხერხდა. ინტერპრესნიუსი

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ „ჰუმან რაითს უთმის“ მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშს ეხმაურება.

ქართული მხარე მადლობას უხდის საქართველოს საზოგადოებას, რომელიც ცდილობს, სრულყოფილად და ობიექტურად ასახოს ის დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებსაც რუსეთის მხრიდან საქართველოში შემოჭრის შემდეგ ჰქონდა ადგილი.

“მოსხენებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ რუსეთმა ოს სეპარატისტებს უფლება მისცა, ენამეზინათ, გაეძარცვათ, მოეკლათ და დაეშინებინათ უდანაშაულო ადამიანები. აქვეა ნათქვამი, რომ არ არსებობს არც ერთი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ქართველი ჯარისკაცების სამიზნე როდესმე უბრალო მოქალაქეები გამხდარიყვნენ,” - აღნიშნულია საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში. პირველი

გაზეთი "24 საათის" გამოცემაში ომის შესახებ "გვ". რედაქტორ-გამომცემელი: გიორგი ფარულაშვილი, პაატა მუხამაძე.
რედაქცია: სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღონისიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავეცი (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილაშვილი (რეგიონი), კახა ფარულაშვილი (სპორტი). **რედაქციის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **მომხმარებელთა ცენტრი:** თამაზ მჭედუმი (მენეჯერი), დიმიტრი შალუვაშვილი, თენგიზ ქიჩია, ნინო ყავციანიშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. **ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ:** 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). **ფაქსი:** 31-93-86. **ელ-ფოსტა:** public@24hours.ge

პატრიარქის საკვირაო ქადაგება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საკვირაო ქადაგებისას ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაზე კიდევ ერთხელ ისაუბრა.

პატრიარქმა მრევლს საქართველოს გამთლიანებისთვის ლოცვისაკენ მოუწოდა. ამასთან, ილია მეორემ ლაშხების გვარი დალოცა.

„ღმერთმა დალოცოს, გააძლიეროს და გაამთლიანოს საქართველო. დღეს ჩვენ ვლოცავთ ლაშხების გვარს. ლაშხები დიდი და ცნობილი გვარია. ღმერთმა დაგლოცოთ, გააძლიეროთ, მშვიდობა მოგცეთ,“ - ბრძანა პატრიარქმა ქადაგებისას. **ინტერპრესნიუსი**

ავტომანქანას ცეცხლი წაეკიდა

გუშინ, ნაშუადღევს თბილისში, აეროპორტის ტრასაზე ბენზინგასამართ სადგურ „ლუკოილთან“ ავტომანქანა „ბე-ემ-გე“-ს ცეცხლი წაეკიდა. მეხანძრეებმა ხანძრის ლიკვიდაცია 15 წუთში შეძლეს.

საგანგებო სიტუაციითა საქალაქო სამსახურის მორიგის თქმით, ხანძრის შედეგად მანქანის ძრავა და ტორპედო მთლიანად დაინვა. ხანძრის მიზეზად კი ავტომანქანაში სადენების მოკლე ჩართვა დასახელდა.

გუშინვე წყნეთის ქუჩაზე, ხევში ნარგავებს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი იქვე მდებარე ფიცრულ ქობსაც წაეკიდა. საგანგებო სიტუაციითა საქალაქო სამსახურის მორიგის ინფორმაციით, მახანძრეებმა ცეცხლის ლიკვიდაცია მალევე მოახერხეს.

ხანძრის შედეგად ნარგავების 15 კვადრატული მეტრი და ქობიც დაინვა. **მედიანიუსი**

საიას თავმჯდომარე საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით სპეციალურ ბრიფინგს გამართავს

დღეს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში საიას თავმჯდომარე თამარ ხიდაშელი საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით სპეციალურ ბრიფინგს გამართავს.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მიიჩნევს, რომ შემოთავაზებული ცვლილებები რეალურად არ ცვლის ხელისუფლების შტოთა ბალანსს და არ ხდება პარლამენტის უფლებამოსილებების არათუ "მნიშვნელოვანი", არამედ მცირედი გაძლიერებაც კი. **ჯი-ეიჩ-ენი**

ორი სიტყვით

თბილისი. 26-28 იანვარს ბუდაპეშტში დაგეგმილ "ნაბუკოს" სამიტში, გრიგოლ მგალობიშვილის ნაცვლად, პირველი ვიცე-პრემიერი ნიკა გილაური მიიღებს მონაწილეობას. **პირველი**

თბილისი. სახალხო დამცველის მოადგილე სოფო ხორგუანს ომბუდსმენის სახელზე უკვე დაწერილი აქვს განცხადება გადადგომის შესახებ. იგი პოლიტიკაში მდის და "რესპუბლიკურ პარტიაში" გააგრძელებს საქმიანობას. **ინტერპრესნიუსი**

თბილისი. არასაპარლამენტო ოპოზიციის ახალგაზრდული ორგანიზაციები უმალდესი სასწავლებლების სტუდენტებთან საპროტესტო აქციებში მონაწილეობის მისაღებად მოლაპარაკებებს აწარმოებენ. **პირველი**

თბილისი. პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო შევებულებაში იმყოფებოდა, მუშაობას დღეს განაახლებს. **ინტერპრესნიუსი**

თბილისი. პარტია "დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს" პრესსამსახურში აღნიშნავენ, რომ ნინო ბურჯანაძე არასაპარლამენტო ოპოზიციის მიერ გაზავებული თვის დაგეგმილ აქციებში არა მხოლოდ მიიღებს მონაწილეობას, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, თავად იყოს საპროტესტო აქციების ინიციატორი. **პირველი**

გორი. ოპოზიციამ გადასული ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოლაიდელი გორის რაიონს ეწვია. ადგილობრივ მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე, მან საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ისაუბრა და მოძრაობის "სამართლიანი საქართველოსთვის" რეგიონული ოფისი დააფუძნა. **პირველი**

დედოფლისწყარო. დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ფიროსმანს მგლების ხროვა შეესია. მგლები სოფელ რამდენიმე ოჯახის საქონლის სადგომში შეიჭრნენ და ოთხი მსხვილფეხა პირუტყვი შეჭამეს, ხუთი ძროხა, ერთი ღორი და ერთი ცხვარი კი დაგლიჯეს. **პირველი**

მძიმე არჩევანი

პირველი ხელისუფლება

ამიტომაც, ჩემი ინტერესი საქართველოსადმი არა მხოლოდ მისი ხალხის, ქართველი მეგობრების მიმართ დამოკიდებულებით აიხსნება, არამედ იმიტომაც, რისი გაკეთებაც შეძლო ქვეყანამ. სურვილი მაქვს, ხშირად ვნახო, რა ხდება აქ, ვუპასუხო ადამიანებს შეკითხვებზე, რაღაც რჩევები მივცე...

- საქართველოს მთავრობას თუ აძლევთ რჩევებს?

- საქართველოს მთავრობას თავის რიგებში ისეთი აქტივი ჰყავს, რომელსაც კახა ბენდუქიძე ჰქვია. კახა რუსეთში მუშაობისას გაცივანი და როდესაც იგი რუსეთიდან წავიდა, ბევრს გვეყენა, რადგან კახამ რუსეთის ინტელექტუალურ, ეკონომიკურ ცხოვრებაში, პოლიტიკურ-ეკონომიკურ დისკუსიაში ისეთი წვლილი შეიტანა, რომ მისი წასვლით რაღაც სიცარიელე შეგვექმნა. საქართველოში მისი ეს თვისებები ასე კარგად არ ჩანს, ვინაიდან აქ იგი უფრო პრაქტიკული საქმეებითაა დაკავებული.

- თუმცა, მრავალი ქართველი ექსპერტი ბენდუქიძისა და მისი რეფორმების მიმართ უარყოფითად არის განწყობილი...

- შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს. მინდა ვთქვა, რომ ის ადამიანები, ვინც საქართველოში კრიტიკულად არიან განწყობილნი მისი საქმიანობის მიმართ, ღრმად ცდებიან. მისი დღევანდელი საქმიანობის შედეგი ადამიანებმა შეიძლება არა ახლა, არამედ მომავალში შეაფასონ.

- რაც შეეხება გასული წლის აგვისტოს მოვლენებს, რომელსაც თქვენ მედიასი თუ სხვადასხვა აუდიტორიის წინაშე გამოვლენებში ძალიან ხშირად ეხებოდით. ამ საკითხზე ბევრი ინფორმაცია გაქვთ. როგორია ამ მომენტისთვის თქვენი აზრი - რა მთავარი დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ მოვლენებიდან და რა განხილავს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მთავარი მიზეზი?

- ძალიან ძნელია, ამ კითხვას მოკლედ უპასუხო. სავესტით ნათელია, რომ რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველ რიგში, ეს მმართველი რეჟიმების შეუთავსებლობაა. ერთ-ერთი მათგანი დემოკრატიაა, თუმცა არასრულყოფილი, რაც არავისთვის საიდუმლო არ არის. ქართული დემოკრატიისა და საქართველოს ხელისუფლების მიმართ ბევრი პრეტენზია არსებობს, ნაწილობრივ სავესტით დამსახურებული. თუმცა, ქართული პოლიტიკური რეჟიმი

მანაც დემოკრატიაა. რუსეთში კი არსებობს ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც ტოტალიტარიზმში გადასვლის ზღვარზე დგას.

- მაგრამ, რით ემუქრება რუსეთის რეჟიმს თუნდაც ქართული დემოკრატია? მაგალითად, ლიტვაც დემოკრატიაა, თანაც უფრო მეტად გამოკვეთილი, ვიდრე საქართველო, თუმცა რუსული რეჟიმი ამით არ ზარალდება.

- ნებისმიერი დემოკრატია თავად თავისი არსებობის ფაქტით საფრთხეა ავტორიტარიზმისთვის. ლიტვაც, ლატვიაც, ესტონეთიც რუსეთის რეჟიმისთვის საფრთხეს წარმოადგენენ. თუ თქვენ შეხედავთ, როგორ შუქდება რუსეთში თუნდაც ლიტვის და ლატვიის ბოლო მოვლენები, რომ არაფერი ვთქვათ ესტონეთზე, ნახავთ, რამდენად დიდ გაღიზიანებას იწვევენ ბალტიის დემოკრატები, რომლებიც დღევანდელი რუსული პოლიტიკური რეჟიმისთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენენ. თუმცა დემოკრატიული რეჟიმი საქართველოში უფრო დიდი საფრთხეა გამოწვევაა, ვიდრე ბალტიის ქვეყნების დემოკრატია - რა თქმა უნდა, არა ჩემი, არამედ რუსეთის დღევანდელი რეჟიმის აზრით. ეს იმით აიხსნება, რომ იგივე ბალტიის განსხვავებით, სადაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ისტორიულ-კულტურული გენოტიპით კათოლიკე ან პროტესტანტია, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მართლმადიდებელია. ამ მხრივ კულტურულ-რელიგიური კონფლიქტი ჩვენ, რუსეთისა და საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობას, იდენტური გვაქვს. ამიტომაც, დემოკრატიული რეჟიმის წარმოქმნა მართლმადიდებლურ ქვეყანაში რუსეთში ავტორიტარული-ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმის მდგრადი არსებობისთვის გაცილებით დიდი საფრთხეა, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. თანაც, იგივე საბერძნეთისა და ბულგარეთისგან განსხვავებით, რუსეთი და საქართველო ბოლო ორასი წელი ერთ სახელმწიფოში არსებობდნენ. გარდა ამისა, რუსეთსა და საქართველოს შორის კულტურული სიახლოვე, შესაძლოა, უფრო მჭიდრო იყო, ვიდრე რუსეთის კავშირი უკრაინასა და ბელარუსთანაც კი. ამიტომ, როდესაც მენტალიტეტით და კულტურით ასე ახლოს მდგომი ხალხი დემოკრატიის და თავისუფალი ეკონომიკის, თავისუფალი საზოგადოების პირობებში ცხოვრობს, ეს უშუალო საფრთხეს წარმოადგენს, რადგან ბათილ-

დება იმ ხალხის ნებისმიერი ახსნა, ვინც ამტკიცებს, რომ რუსეთში, დიქტატურის გარდა, სხვა ვერაფერი იარსებებს. თურმე, სხვა ხალხებს შეუძლიათ სხვანაირად ცხოვრება... ამიტომაც, შემთხვევითი არ არის, რომ რუსეთის დღევანდელი პოლიტიკური რეჟიმის მთავარი მტრები საქართველოს და უკრაინის პოლიტიკური სისტემებია - ორი დემოკრატიული მართლმადიდებლური ქვეყნის, რომლებმაც არაერთი ათწლეული რუსეთთან ერთ სახელმწიფოში გაატარეს.

- თქვენი აზრით, შესაძლებელი იყო თუ არა შეიარაღებული კონფლიქტის თავიდან აცილება?

- ნატო-ს ბუქარესტის სამიტის მცდარი გადაწყვეტილების შემდეგ, ჩემი აზრით, ომის შეჩერების არც ერთი შანსი აღარ დარჩა. ბოლო შანსი საქართველოსა და უკრაინისთვის მაპ-ის მინიჭება იქნებოდა, თანაც, მაპ-ი შეესებოდა და განვითარებული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ნაბიჯებით აშშ-ს და ევროპის, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან.

- თქვენი აზრით, მიაღწია თუ არა რუსეთმა თავის მიზნებს?

- მეორეხარისხოვანი მიზანი მიღწეულია, თუმცა მთავარი - არა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ რუსეთის ხელმძღვანელობის ნაწილის გრძელვადიანი მიზანი იყო საქართველოს დეზინტეგრაცია, მისი დანაწევრება რამდენიმე ნაწილად. იმის მიხედვით, თუ რა გადაწყვეტილებები მიიღება, როგორ მიიღება და როგორ ხორციელდება, რა დროის განმავლობაში და რა საშუალებების გამოყენებით, რაიმე სხვა გრძელვადიანი მიზანი არ ჩანს. თანაც, ეს ეხება არა მხოლოდ ორ რეგიონს - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, არამედ აჭარას, სამეგრელოს, ჯავახეთს, მარნეულს, იმერეთს და ა. შ. ამიტომ, არ არის გამორიცხული, მთავარი მიზანი ყოფილიყო საქართველოს სრული დანაწევრება ათეულამდე სხვადასხვა ზომის ნაწილად დაყოფის გზით.

- რუსეთს აქვს რესურსები ამ გეგმის განსახორციელებლად?

- რასაკვირველია.

- ამ ვითარებაში საქართველოს უნდა ჰქონდეს სააერთაშორისო მხარდაჭერის იმედი?

- ძალიან შეზღუდული სახით. მე ვხედავ მოქმედების ორ ვარიანტს ქვეყნისათვის, რომელიც უფრო დიდი მეზობლის მხრიდან აგრესიის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. მე-20 სა-

უკუნის ისტორია რეაქციის ორტიპს გვიჩვენებს. პირველი - ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტ ბენეშის რეაქცია აგრესიაზე დიდი მეზობლის მხრიდან, როდესაც საერთაშორისო საზოგადოებამ ან თვალი დახუჭა, ან აგრესორს დაეხმარა. ჩვენ ვიცით, რა მოუვიდა სუდეტის ოლქს და ჩეხოსლოვაკიას. რეაქციის მეორე ტიპი რიუტის მთავრობის ქმედებაა ფინეთში, რომელიც ასევე საერთაშორისო იზოლაციის პირობებში აგრესიის დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა. ჩვენ ვიცით, რომ სუდეტი ძალიან მძიმე და სისხლიანი იყო, გადახდილი ფასი - ძალიან დიდი, მათ შორის ტერიტორიული დანაკარგებით, მაგრამ სახელმწიფოებრიობა შენარჩუნებულ იქნა - რა თქმა უნდა, არა უსასყიდლოდ. თუ მთავარ დასკვნაზე ვილაპარაკებთ, მთავარი მესიჯი, რომელიც მიიღება, რომ ქართულ საზოგადოებას გავუგზავნო, ასეთია: რა გზა უნდა აირჩიოთ - ჩეხოსლოვაკიაში ბენეშის გზა თუ ფინეთში რიუტისა და მანრეჰამის გზა - ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ თქვენს საზოგადოებას შეუძლია. მე მხოლოდ ამ ორი ალტერნატივისა და თითოეული ამ ვარიანტის შედეგის, მათ შორის მძიმე შედეგების აღწერა შემიძლია.

- როგორ შეაფასებთ საქართველოს მთავრობის ბოლო ანტიკრიზისულ ინიციატივას, რომელმაც ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მილიარდ ლარამდე გამოყო? რამდენად გამართლებულია ეს და მოიტანს თუ არა დადებით ეფექტს?

- არ მგონია. საერთო ჯამში, ინვესტიციები ინფრასტრუქტურის განვითარებაში საჭიროა. ინფრასტრუქტურა როგორც რუსეთში, ასევე საქართველოშიც საავსოლო მდგომარეობაშია და ინვესტიციები აუცილებელია. თუმცა, ჩემი აზრით, ეს აუცილებელია კონსტიტუციის კონკრეტული სტადიისგან დამოუკიდებლად. მაგალითად, საქართველოში აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი მხოლოდ ერთი გზა არსებობს, რაც საკმარისი არ არის. ამ გზის რეკონსტრუქცია, პარალელური გზების შექმნა, ხიდების რეკონსტრუქცია აუცილებელია, თუმცა ეს ნებისმიერ შემთხვევაში გასაკეთებელია, კონსტიტუციისგან დამოუკიდებლად. რაც შეეხება ინფრასტრუქტურაში ინვესტირების გზით კრიზისთან ბრძოლას, მე ვფიქრობ და მსოფლიო გამოცდილებაზეც ამაზე მეტყველებს, რომ ამ ზომების ეფექტურობა მაღალი არ არის ხოლმე.

მარიონეტული რეჟიმს თავი დამოუკიდებელი ჰპონია

აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივან სტანისლავ ლაკობას განცხადებით, აფხაზეთის „დამოუკიდებლობის აღიარების“ შემდეგ საქართველოში აკრედიტებული ელჩების სოხუმში მიღება უკვე შეუძლებელია. ლაკობას ამ განცხადებას საინფორმაციო სააგენტო „აფსნი პრესი“ ავრცელებს.

ლაკობამ აღნიშნა, რომ 29-30 დეკემბერს საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩ დენის კიფის სოხუმში მიღებისას ითქვა, რომ ეს საქართველოში უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენელთან უკანასკნელი შეხვედრა იყო. 28 იანვარს კი სოხუმში საქართველოში გერმანიისა და ჩეხეთის ელჩების ჩასვლას ელიან.

„სამწუხაროდ, გამოწვეულია ნესად იქცევა. პოლიტიკური თვალსაზრისით ეს კონტაქტები, რბილად რომ ითქვას, შეცდომაა. თუ ჩვენ ევროკავშირის წარმომადგენლების მიღება გვსურს, სხვა სტრუქტურებიც არსებობს, მაგალითად, სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის ან დიდი ბრიტანეთის სპეციალური წარმომადგენ-

ლები. გამოდის, რომ ამით ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, ჩვენს სუვერენიტეტს თავადვე ვაყენებთ ეჭვქვეშ.“ - განაცხადა სტანისლავ ლაკობამ. მისი თქმით, ამ პოზიციას ე.წ. უშიშროების საბჭოს დანარჩენი წევრებიც იზიარებენ.

ინტერპრესნიუსი

ბანარენი პატრულ-ინსპექტორს

თბილისის საქალაქო სასამართლომ განაჩენი გამოუტანა ვახტანგ აბუაშვილის, რომელსაც საბრალდებო დასკვნის თანახმად, ბრალი ედებოდა სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობაში. აღნიშნული დანაშაულისთვის სსკ-ის 116-ე მუხლის 1 ნაწილი სასჯელის ზომად 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. საუბარია 2008 წლის 8 მაისს, თბილისში, ზანდუკელის ქუჩაზე მომხდარ ინციდენტზე, როცა პატრულ-ინსპექტორ ვახტანგ აბუაშვილის მიერ სამსახურებრივი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილ ტყვიას 32 წლის გიორგი გამცემლიძის სიცოცხლე ემსხვერპლა. გარდაცვლილი "ნაციონალური პარტიის" ვაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ზაზა გამცემლიძის საარჩევნო შტაბის წევრი იყო. განსასჯელი პატრულ-ინსპექტორი პროცესის მიმდინარეობისას დუმილის უფლებას იყენებდა, თუმცა, ბოლოს, მან აღიარა, რომ დანაშაული ჩაიდინა გაუფრთხილებლობით.

ვახტანგ აბუაშვილის ადვოკატმა მირდატ ქამადაძემ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, რომ ნინასნარი გამოძიების მსვლელობისას, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა არ უარყო, რომ გაისროლა. ადვოკატის განმარტებით, პატრულ-ინსპექტორი მოქმედებდა იმ კანონის შესაბამისად, რომელსაც "საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ" ჰქვია.

აღნიშნული საქმის განხილვას საზოგადოებაში დიდი რეზონანსი მოჰყვა, ამიტომაც, სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია, გაეკეთებინა განმარტება იმ ძირითად სამართლებრივ ნორმებზე, რაც საფუძვლად დაედო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებას.

აღსანიშნავია ის, რომ განსასჯელს ბრალად ედებოდა სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურის განცხადებით, მოქმედი კანონმდებლობით, სასამართლო, არ არის უფლებამოსილი დაამძიმოს პირის მიმართ ნარდგენილი ბრალდება ან საქმე დააბრუნოს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად, თუ არ არსებობს ბრალდების მხარის შესაბამისი შუამდგომლობა.

"სასამართლოს არ შეეძლო აბუაშვილისთვის ნარდგენილი ბრალი - სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა, სხვა უფრო მძიმე ბრალდებით შეეცვალა. აღნიშნული მუხლი კი, 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სასამართლომ, მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპით განაჩენილი განაჩენი გამოუტანა ვახტანგ აბუაშვილს.



თბილისის საქალაქო სასამართლომ განაჩენი გამოუტანა ვახტანგ აბუაშვილს.

ციპის სრული დაცვით, გამოიკვეთა და შეაფასა საქმეზე როგორც დაცვის, ასევე ბრალდების მხარის მიერ ნარდგენილი მტკიცებულებები," - ნათქვამია თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეს-სამსახურის პრესრელიზში.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, განსასჯელს სასჯელის ზომად განესაზღვრა მისთვის წაყენებული მუხლის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური ზომა - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და დაადგინა ამ სასჯელის მოხდის სხვადასხვაგვარი რეჟიმი. კერძოდ, მსჯავრდებულმა დაინიშნული სასჯელის ნახევარი - 2 წელი უნდა მოიხადოს სასჯელაღსრულებით დანესებულებაში, ხოლო 2 წლით პატიმრობა შეეცვალა პირობითი სასჯელით - 2 წლით გამოსაცდელი ვადით.

"ამგვარ პრაქტიკას, რომელიც სასჯელის ნაწილის პირობითი მსჯავრებით შეეცვალა ითვალისწინებს, სასამართლოები სწორად მიმართავენ და ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, სასამართლო მხოლოდ კანონის და არსებული პრაქტიკის თანახმად მოქმედებდა," - აცხადებს თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახური.

მათივე განმარტებით, ამ გადაწყვეტილების მიღებისას სასამარ-

თლომ გაითვალისწინა რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება: განსასჯელმა აღიარა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული, ამასთან, განსასჯელის დაცვის მხარე მოითხოვდა სასჯელის პირობითი მსჯავრებით შეეცვალა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ აბუაშვილი მოქმედებდა მისი უფლებამოსილების ფარგლებში და აღნიშნული მძიმე შედეგი მხოლოდ გაუფრთხილებლობით იყო გამოწვეული.

სასამართლოს პრესსამსახურის განცხადებით, ხაზგასასმელია ისიც, რომ გამცემლიძე, ავტომანქანით მოძრაობდა გადაჭარბებული სიჩქარით, შექმნა საავარიო სიტუაცია, იგი არ დაემორჩილა პოლიციის თანამშრომელთა კანონიერ მოთხოვნას და სცადა მიმალვა.

"მონათა ჩვენებებით ირკვევა, რომ გამცემლიძემ გააკეთა მოძრაობა, რამაც პოლიციის თანამშრომლები დააფრთხილა, რომ მას თან შექონდა ცეცხლსასროლი იარაღი. მსჯავრდებულ აბუაშვილის მიერ გაუფრთხილებლობით გასროლა განხორციელდა იმ დროს, როცა აბუაშვილმა შეძლო გამცემლიძის შეჩერება, თუმცა მათ შორის მიერ შეხლა-შემოხლისას მოხდა გაუფრთხილებლობით გასროლა, რამაც გამცემლიძის სიკვდილი გამოიწვია," - აცხადებს სასამართლოს პრესსამსახური.

სასამართლომ ასევე დააკმაყოფილა დაზარალებულის უფლებამონაცვლის სამოქალაქო სარჩელი და მსჯავრდებულ აბუაშვილს გარდაცვლილი გამცემლიძის არასრულწლოვანი შვილებისთვის სარჩოს ერთჯერადი ანაზღაურება - 41 500 ლარის გადახდა დააკისრა.

"რა თქმა უნდა, განსასჯელ აბუაშვილისთვის ნარდგენილ ბრალდებას არ ვეთანხმებით. სახეზე არაა გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა, არამედ, მკვლელობა. პატრულ-ინსპექტორმა ვახტანგ აბუაშვილმა თავი გამოიჩინა და იმის ნაცვლად, რომ მოძრაობის წესების დამრღვევი გიორგი გამცემლიძე ადმინისტრაციული ჯარიმით დაჯარიმებულიყო, ის სიცოცხლეს გამოასალმა," - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას დაზარალებულის ინტერესების დამცველმა ინგა არახამიაშვილმა, რომელიც საქმეში არსებულ სხვა სამართლებრივ დარღვევებზეც საუბრობს. მისივე თქმითვე, დაზარალებული მხარე ქართული მართლმსაჯულების ყველა ინსტანციას ამოწურავს და თუ საქმის ობიექტურად განხილვა არ მოხდება, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს მიმართავს.

დაავადებული პაციენტები სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს

თუ სახალხო დამცველის რეკომენდაციებს აქამდე სასჯელაღსრულების დეპარტამენტი არ ითვალისწინებდა და ამის გამო, ომბუდსმენმა ადმინისტრაციული სარჩელით სასამართლოს არაერთხელ მიმართა კიდევ, როგორც ჩანს, ამ კუთხით ბოლო პერიოდში სიტუაცია გამოსწორდა. ამაზე მეტყველებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ ომბუდსმენის რამდენიმე რეკომენდაციის შესრულება.

სახალხო დამცველს გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობის ჩივილით განცხადებით მი-

მართა რუსთავის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფმა მსჯავრდებულმა თამაზ ბ-მ.

როგორც სახალხო დამცველისთვის გახდა ცნობილი, მსჯავრდებულ თამაზ ბ-ს 2008 წლის 14 და 23 ივლისს ჩაუტარდა გამოკვლევები და დაუდგინდა მარცხენა ფილტვის კეროვანი ტუბერკულოზი ინფილტრაციის ფაზაში. მსჯავრდებულის ჩასატარებლად გადაიყვანეს ცუბდაწესებულებაში მკურნალობის ჩასატარებლად გადაიყვანეს. ცუბდაწესებულებაში ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე ავადმყოფს არ აღმოაჩნდა ტუბერკულოზი და კვლავ რუსთავის N2 დაწესებულებაში დააბრუნეს.

სახალხო დამცველის ოფისში აცხადებენ, რომ იმ დროისთვის

მსჯავრდებულები უჩიოდა ძლიერ სისუსტეს, ოფლიანობას, წონაში კლებას, პერიოდულ სისხლდენას ფილტვებიდან. კლინიკური, სუბიექტური და ობიექტური მონაცემებით, სავარაუდოდ, კვლავ უნდა ყოფილიყო ტუბერკულოზური ინტოქსიკაცია.

სახალხო დამცველმა რამდენჯერმე მიმართა რუსთავის N2 დაწესებულების ხელმძღვანელობას თამაზ ბ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. შედეგად, მსჯავრდებულები ჩართეს ე.წ. დოტის პროგრამაში და 11 დეკემბერს ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს ქვედა კიდურების დამბლად დაავადებული, თბილისის N8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულები შალვაო.

სახალხო დამცველის წერილის საფუძველზე მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს რუსთავის N6 სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულები პაატა ბ. პატიმარი მარცხენა ფეხის ატროფიას უჩიოდა.

ზესტაფონში განახლებული იურიდიული დახმარების ბიურო გაიხსნა

ზესტაფონში გამგეობის შენობაში (მისამართი: წერეთლის ქ. N11) იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთის-ზესტაფონის განახლებული ბიურო გაიხსნა. პრეზენტაციას დაესწრნენ ადგილობრივი ხელისუფლების, სასამართლოს, პროკურატურის, პოლიციის, სახალხო დამცველის აპარატის, "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" და მედიის წარმომადგენლები.

ლონისძიებმა იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რუსუდან ტაბატაძემ განხილეს, ხოლო იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსმა გელა ბერაძემ საქმიანობის შედეგებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

ბიუროში დასაქმებული ოთხი საზოგადოებრივი ადვოკატი და ორი კონსულტანტ-სპეციალისტი მოქალაქეებს სრულიად უფასოდ ემსახურებიან. 2008 წელს მათ გადახდის უფუნარო მოქალაქეთა ინტერესების დაცვა 262 სისხლის სამართლის საქმეზე განახორციელეს. უფასო სამართლებრივი კონსულტაციით კი, 300-ზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა. იურიდიული დახმარების სამსახურის პერსონალის ინფორმაციით, იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროში სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში განხორციელდა. ბიურო თანამედროვე ავეჯითა და უახლესი საოფისე ინვენტარით აღიჭურვა. ოფისების კეთილმოწყობა იურიდიული დახმარების სამსახურის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. უახლოეს მომავალში დაგეგმილია იმერეთის-ქუთაისის ახალი ბიუროს გახსნაც.

საკუთარი ინფორმაცია

სოხუმის მტკიცებით, დივერსიული აქტი განხორციელდა

სოხუმის მტკიცებით, გუშინ "აფხაზეთში, ქალაქ გალის ცენტრში ქართული სპეცსამსახურების მიერ დივერსიული აქტი განხორციელდა".

"13:15 საათზე გალის ცენტრში ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა. პაქეტი, რომელშიც ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო მოთავსებული, მილიციის თანამშრომლის ავტომანქანაში აღმოჩნდა. პაქეტის ამობრუნების მცდელობის დროს ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა, თუმცა იქ მყოფმა ადამიანებმა გაქცევა მოასწრეს. ასაფეთქებელი შედეგად არავინ დაშავებულა. დაზიანდა მხოლოდ ახლოს მდებარე შენობისა და კაფეს მიწები," - განაცხადა გალის რაიონის აფხაზური მილიციის უფროსის ლოურენს კოლონიამ.

კოლონიას შეფასებით, "მომხდარი ქართული სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული დივერსიული აქტია, რომელიც გალის რაიონის ძალიან სტრუქტურების თანამშრომლებისკენ იყო მიმართული".

პირველი

ოკუპანტების მხრიდან ყარაღობის ფაქტები გაიზარდა

სამი რუსი ოკუპანტი გალის რაიონის სოფელ ნაბაკევიში ელიავების ოჯახს თავს დაესხა. მთვრალი სამხედროები ალკოჰოლურ სასმელის უფლსა და ძვირფასეულობის ნაღებებს ცდილობდნენ. როდესაც ოკუპანტებს ნაძარცვი ნივთების რაოდენობა ეცოტავათ, მეტი თანხის გამოსაძალად ოჯახის ყველაზე პატარა წევრი, სამი წლის ბაჩანა ელიავა სასტიკად ანამეს.

თავდასხმელებმა ასევე სასტიკად სცემეს ოჯახის უფროსი კობა ელიავე, რომელიც შემდგომ გაიტაცეს და სოფლის გასასვლელში უგონო მდგომარეობაში დააგდეს. ელიავების ოჯახზე თავდასხმის შემდეგ ოკუპანტებმა ნაბაკევის ცენტრში მდგარი ოთხი სამგზავრო ავტობუსი დააყარაფლეს. მათ 50-მდე ადამიანი ნახევარი საათის განმავლობაში მძევლად ჰყავდათ აყვანილი.

ოკუპანტებს ყარაღობაში აფხაზი სეპარატისტებიც ეხმარებოდნენ. თავდასხმელებმა ნაძარცვი ნივთები გალის მიმართულებით წაიღეს.

გუშინ, დილით კი უცნობმა პირებმა გალიდან ზუგდიდის მიმართულებით მოძრაი მიკროავტობუსი დააყარაფლეს. როგორც აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის სამეგრელო-ზემო სვანეთის ნარმადგენლობის უფროსმა პაატა შამუგიამ განაცხადა, ოკუპანტები მიკროავტობუსს თავს დაესხნენ და მგზავრებს ძვირფასეულობა და გასაყიდი პროდუქტები წაართვეს.

"უცნობმა ნიღბანმა პირებმა სოფელ ნაბაკევიში გალიდან ზუგდიდისკენ მიმავალი მიკროავტობუსი დააყარაფლეს. სამარშრუტო ტაქსში 15-მდე მგზავრი იჯდა, რომლებსაც ზუგდიდში თხილი და სხვა პროდუქტები გასაყიდად მიჰქონდათ. თავდასხმელებმა მგზავრებს პროდუქტით ერთად ძვირფასეულობაც წაართვეს," - განაცხადა შამუგიამ და აღნიშნა, რომ თავდასხმა სავარაუდოდ, მშვიდ ოკუპანტების მიერ განხორციელდა. მიმდინარე კვირაში სოფელ ნაბაკევი ერთსა და იმავე ადგილზე სამარშრუტო ტაქსებზე თავდასხმის უკვე მეორე შემთხვევა მოხდა.

მედიანოისი

გალის დაბალი ზონის ე.წ. მაკონტროლებელი გარდაიცვალა

გალის დაბალი ზონის ე.წ. მაკონტროლებელი დაურკირთაძე გარდაიცვალა.

დაურკირთაძე რუს ოკუპანტებთან ერთად აკონტროლებდა გალის დაბალი ზონის სოფლებს. გავრცელებული ინფორმაციით, იგი ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების დროს გარდაიცვალა.

დაურკირთაძე ბოლო პერიოდში მონაწილეობდა გალის მოსახლეობის ანიოკებაში და ადამიანთა ვატაცებაში. იგი ასევე სეპარატისტთა ლიდერის სერგეი ბალაფის დავალებით სამხედრო სამსახურში იძულებითი წესით გალის დაბალი ზონის სოფლებიდან იტაცებდა ახალგაზრდებს და გამოსასყიდის გადახდის შემდეგ ათავისუფლებდა.

მედიანოისი

საკუთარი ინფორმაცია

ხონის რაიონში გაჩენილი ხანძარი ლოკალიზებულია

ხონში, სოფელ დედლაურთან ჩაის პლანტაციის და ტყეში გაჩენილი ხანძარი ლიკვიდირებულია. სახანძრო ბრიგადები ალს მთელი ღამის განმავლობაში აქრობდნენ. ხანძარი 8 ჰექტარ ფართობზე იყო მოდებული, რის გამოც არსებობდა დასახლებულ პუნქტში მისი გავრცელების საშიშროება. საფრთხეში იყო სასაფლაოს რულების დეპარტამენტის ხონის კოლონიაც.

გაჩენილ ხანძარს ქალაქიდან გამოძახებული 20 სახანძრო ბრიგადა აქრობდა. პროცესში სამხედროებიც იღებდნენ მონაწილეობას. ამ დრომდე არ არის ცნობილი ჩაის პლანტაციის ცეცხლი გაჩენის მიზეზი. ხანძრის ლოკალიზება 2 საათში მოხერხდა.

მედიანუსი

რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, გასული წლის განმავლობაში საქართველოს მასშტაბით 44 ათას 644 დანაშაული დაფიქსირდა.

შს-ს სტატისტიკური მონაცემებით, რეგისტრირებული შემთხვევების 46,9 პროცენტი, ანუ 20 934 დანაშაული უკვე გახსნილია. 2007 წელთან შედარებით 2008 წელს დანაშაულის კლების ტენდენცია შეინიშნება. კერძოდ, 2007 წელს ჩადენილმა დანაშაულმა საერთო ჯამში 54700-ს გადააჭარბა. გასულ წელს რეგისტრირებული შემთხვევებიდან 13028 განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება.

ვი-ეი-ენი

პალიასტომის ტბაში ორ ახალგაზრდას ეძებენ

პალიასტომზე დაკარგული ორი მეთევზის ცხედრების პოვნა კვლავ ვერ ხერხდება. 16 წლის ელდარ ცაავა და 32 წლის მამუკა გარუფავა სათევზაოდ სამი დღის წინ წავიდნენ. მათ პალიასტომის ტბაზე ქარბორბალამ მოუსწრო. მესამე მეთევზე, რომელიც სტიქიას გადაურჩა, აცხადებს, რომ მან დაინახა, როგორ აიტაცა ქარმა ნავი და მეთევზეები წყალში ჩაცვივდნენ. სამაშველო ჯგუფებმა მუშაობა გუშინ დილიდან განაახლეს. იმ ადგილზე, სადაც ნავი ქარმა ააყირავა, მყვინთავების ჯგუფის ჩაშვებაა საჭირო. სამძებრო სამუშაოებში ჩართულია სანაპირო დაცვის კატარღები, პოლიცია და ადგილობრივი მოსახლეობა.

"მესამე დღეა რაც დიკარგნენ. აქამდე შტორმის გამო ტბაში შესვლა შეუძლებელი იყო. მეზობლები ყველანი აქ ვდგავართ და ვეძებთ. მამუკალების ერთი ჯგუფი ტბაში უკვე შევიდა," - განაცხადა სტიქიის დროს დაკარგული მეთევზეებს მეზობელმა.

მედიანუსი

ოფისისთვის დავა სტრასბურგში გაგრძელდება

"მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" გენერალური მდივანი ეკა ბესელია პარტიის ათონელის ქუჩაზე მდებარე ოფისთან დაკავშირებით, საქართველოს სასამართლოს გადანყვეტილებას ევროსასამართლოს მას შემდეგ წარუდგენს, რაც სასამართლოსგან გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილს მიიღებს.

როგორც ბესელიამ განაცხადა, ევროსასამართლოსთვის ოფისის ჩამორთმევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ერთ-ერთი პუნქტი იქნება იმ განხილვის პროცესში, რომელიც სტრასბურგის სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილის განაცხადის საფუძველზე დაიწყო.

"მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" ათონელის ოფისის ჩამორთმევას ოქრუაშვილის მიმართ პოლიტიკურ ანგარიშსწორებად აფასებს.

პროკურატურამ ოქრუაშვილის პარტიისთვის ათონელის ქ.№27-ში მდებარე შენობის ჩამორთმევისა და სახელმწიფოსთვის გადაცემის მოთხოვნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს გასული წლის ოქტომბერში მიმართა. შენობის ჩამორთმევის შესახებ გადანყვეტილება სასამართლომ 2008 წლის 5 იანვარს მიიღო.

მედიანუსი

გალელ ქართველებს აფხაზური პასპორტების აღებას აიძულებენ

აფხაზური პასპორტების ასაღებად დე ფაქტო ხელი-სუფლება გალის რაიონის ქართულ მოსახლეობას საბუთების შეგროვების დაწყებას ურჩევს.

გავრცელებული ინფორმაციით, დე ფაქტო პრეზიდენტის განკარგულებით, ქართულმა მოსახლეობამ აფხაზური პასპორტის მისაღებად ქართული პირადობის მოწმობის, საბინაო წიგნის, მშობლების ქორწილების მოწმობისა და სამი მეზობლის პირადობის მოწმობის ასლები უნდა წარადგინოს.

წყაროს განმარტებით, აფხაზური პასპორტის მისაღებად თანხის განსაზღვრულ რაოდენობად 250 რუბლი სახელდება. მისივე ცნობით, აფხაზური პასპორტების გაცემა ჯერ არ დაწყებულია, თუმცა მის მისაღებად მთავარ მოთხოვნად საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმა რჩება.

პირველი

მტკვარში ქალის ცხედარი იპოვეს

გუშინ მტკვრის მარცხენა სანაპიროსთან, რიყეზე, მამუკა მდინარე მტკვრიდან ახალგაზრდა ქალის ცხედარი ამოიღეს.

საგანგებო სიტუაციათა საქალაქო სამსახურის მორიგის განცხადებით, დადგენილია გარდაცვლილის ვინაობა - იგი 40 წლის ნაზი კუბლაშვილია. მიმდინარეობს გამოძიება.

მედიანუსი

პატიმრება მიხილვა შეწყვიტეს

გლდანის საპყრობილის სამკურნალო ცენტრში C ჰეპატიტი დაავადებული პატიმრები, ადმინისტრაციისგან დიეტური საკვების მოთხოვნით, 7 დღე შიმშილობდნენ. როგორც ერთ-ერთი მოშიშმილე პატიმრის ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, მოშიშმილეთა შორის ორი ინვალიდი იყო.

„ოთხი პატიმარი რამდენიმე დღე შიმშილობდა, ბოლო ოთხი დღე ისინი მშრალ შიმშილობაზე გადავიდნენ. პატიმრები მოითხოვდნენ, დიეტური კვებით უზრუნველყოფას, რაც მათ კანონით ეუთვნით და საპყრობილის ადმინისტრაციას ვალდებული იყო მათივე მოთხოვნა შეესრულებინა,“ - განაცხადა გელა ნიკოლაიშვილმა.

ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებაში დაკონკრეტებულია, თუ რა სახის პროდუქტი უნდა მიეწოდებოდათ C ჰეპატიტით დაავადებულ პატიმრებს. როგორც გელა ნიკოლაიშვილი აცხადებს, პატიმრებს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში დიეტური საკვებით ამარაგებდნენ და მათთან ამანათებიც შედიოდა. მაგრამ, როდესაც გლდანში პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო ცენტრში გადაიყვანეს, იქ საერთოდ აუკრძალეს ამანათები და არც სპეციფიური საკვებით უზრუნველყოფდნენ. ამის გამო, პატიმრებმა 15 იანვარს გამოაცხადეს შიმშილობა, 17 იანვარს კი მშრალ შიმშილობაზე გადავიდნენ.

„ამის შედეგად, ერთ-ერთი მათგანი გოჩა ჯინჭარაძე სე-

ფსისით დაავადდა - სისხლი მოეწამლა და სეფსისის ცენტრში გადაიყვანეს,“ - განაცხადა გელა ნიკოლაიშვილმა.

თუმცა, სააგენტო "პირველის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სასაფლაოს რეესტრის დეპარტამენტის პრეს-სამსახური პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში C ჰეპატიტით დაავადებული პატიმრების შიმშილობის ფაქტს უარყოფდნენ.

„როგორც გავიგე, ადვოკატები აცხადებენ, რომ პატიმრები შესაფერისი საკვების უქონლობის გამო შიმშილობენ. ეს ინფორმაცია მცდარია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საპყრობილებაში ხუთნაირი მენიუ არის სხვადასხვა დაავადებების

მქონე ადამიანებისთვის. აქედან გამომდინარე, C ჰეპატიტით დაავადებულ პატიმრებსაც სპეციალური მენიუ აქვთ და საკვებიც შეუფერხებლად მიწოდდება. შესაბამისად, არანაირ შიმშილობას ადგილი არ აქვს,“ - აცხადებდა სასაფლაოს რეესტრის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა სალომე მახარაძემ. ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილის განცხადებით, რამდენიმე დღიანი შიმშილობის შემდეგ, ადმინისტრაციამ პატიმრების მოთხოვნა, რომ მათ საჭირო დიეტური საკვები მიეწოდებოდა, დააკმაყოფილა, რის შემდეგაც, პატიმრებმა შიმშილობა შეწყვიტეს.

საკუთარი ინფორმაცია

უპრეცედენტო თავდასხმა

საბავშვო ბაღზე



ბელგიის პოლიციამ დააკავა მანიაკი, რომელმაც თავდასხმა მოაწყო ერთ-ერთ საბავშვო ბაღზე. დაზარადა 13 ბავშვი, მათგან 4 გარდაიცვალა. ბავშვების დაცვისას დაიღუპა ერთი ადამიანი, ხოლო სამი დაიჭრა.

ტრაგედია მოხდა 23 იანვარს, ბელგიის დედაქალაქიდან 30 კილომეტრით დაშორებულ ქალაქ დენდერმონდში, რომლის ცენტრშიც მდებარე საბავშვო ბაღში დანით შეიარაღებული მამაკაცი შეიჭრა.

„ეს საშინელება ფსიქოპათმა ჩაიდინა. ოთხი ადამიანი ბავშვებს გადაეფარა და საკუთარი სხეულით დაიცვეს ისინი, თუმცა ერთი მათგანი გარდაიცვალა და სამი მძიმედ დაჭრილი. მიუხედავად მათი თავგანწირვისა, 4 ბავშვი მაინც გარდაიცვალა,“ - განაცხადა ქალაქის პროკურორმა კრისტიანა დიუფურამ.

„ყველაფერი სისხლით იყო მოთხვერილი. ეს წარმოუდგენელი ტრაგედიაა, რომელიც ჩაიდინა მანიაკმა,“ - განაცხადა ქალაქის მერის მოადგილემ თეო იანსენსმა.

სააგენტო "როიტერს" ინფორმაციით, მართალია, თავდაპირველად მანიაკმა მიმალვა მოახერხა, მაგრამ პოლიციამ მისი დაკავება მოახერხა.

არსებული ინფორმაციით, მანიაკი საბავშვო ბაღში დილის 10 საათზე მივიდა, თანამშრომლებთან რამდენიმეწუთიანი საუბრის შემდეგ, დანით შეიარაღებული, მეორე სართულზე ავიდა, სადაც 18 ბავშვი იმყოფებოდა. მისი პირველივე მსხვერპლი სამი ბავშვი გახდა, რომელთა დაცვა ვერაფერს მოახსრო. ამის შემდეგ, მანიაკი მესამე სართულზე ავიდა და დანა დაარტყა ყველა იქ მყოფს, რის შემდეგაც, დაუყოვნებლივ დატოვა საბავშვო ბაღი.

შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციამ ოპერატიულად გადაკეტა ქალაქი და მანიაკი საბავშვო ბაღიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით იპოვა.

„ბავშვები, საბავშვო ბაღის თანამშრომლები და ქალაქის მოსახლეობა შოკშია,“ - განაცხადა ქალაქის მერმა პიტ ბიოუნსმა, რომლის თქმითაც, მათ უტარდებათ ფსიქოლოგიური დახმარება.



„ჩვენ გაოგნებული ვართ მომხდარით, მსგავსი რამ ბელგიას არ ახსოვს. საშინელებაა როცა ადამიანს თავს ესხმის, მაგრამ შემზარავი ტრაგედიაა, როცა მსხვერპლი უსუსური ბავშვია, რომელსაც დამნაშაისთვის წინააღმდეგობის გაწევაც არ შეუძლია. ვუსამძიმრებ მოკლულთა ოჯახებს, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ეს

თითოეული ჩვენთაგანის ტრაგედიაა,“ - განაცხადა ბელგიის შინაგან საქმეთა მინისტრმა გვიდო დეპაღტიმ.

ბელგიელმა სამართალდამცველებმა დაკავებულს ბრალი უკვე წაუყენეს.

BBC News-ის ინფორმაციით, 20 წლის კიმ დ. ბრალდებულია განზრახ მკვლელობებში. პოლიციამ დააზუსტა, რომ მოკ-

ლული ბავშვებიდან ერთი 10 თვის გოგონა იყო, ხოლო მეორე ექვსი თვის ბიჭი და 54 წლის ძიძა, რომელიც ჩვილ ბავშვებს გადაეფარა.

პოლიციის ინფორმაციით, დაკავებულს აღმოუჩინეს კიდევ სამი ბავშვების მისამართი, რომლებზე თავდასხმასაც სავარაუდოდ, მანიაკი გეგმავდა. დაკავებული სასამართლოს წინაშე 27 იანვარს წარსდგება. BBC News-ის განცხადებით, დაკავებულმა მანიაკმა სამართალდამცველებს განუცხადა, რომ ის ბავშვთა ფილმ "ბნელი რაინდის" ერთ-ერთ პერსონაჟს და გრიმიც მის საპატივსაცემოდ გაიკეთა. მას დაკავებისას სახე თეთრი საღებავით ჰქონდა შეღებილი, ხოლო თვალის უბეები შავად. პოლიცია აცხადებს, რომ იგი ფსიქიურად დაავადებულია. მათ უკვე მოუპოვებთ ინფორმაცია, რომ მანიაკი აღრიცხვაზე იმყოფებოდა ფსიქიატრიულ კლინიკაში.

დაკავებისას მას აღმოაჩნდა დანა, ნაჯახი და სათამაში პისტოლეტი და ეცვა ჯავშანილეტი.

საქმის პროკურორის განცხადებით, გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის ფსიქიატრიული კლინიკიდან იყო გაქცეული, სინამდვილეს არ შეესაბამება.

ბელგიური პრესის ინფორმაციით, არც ევროპაში და არც ამერიკაში მსგავსი კატეგორიის დანაშაული - ბავშვების მასიური დახოცვა, არ მომხდარა. ბელგიური პრესა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით "აზიურ გამოცდილებას" - აზიურ ქვეყნებში მომხდარ მსგავს ფაქტებს აქვეყნებს.

ამ ინფორმაციის მიხედვით, 5 წლის წინ პეკინში, სამზარეულოს დანით შეიარაღებულმა ბაღის დარაჯმა საბავშვო ბაღში დაჭრა 18 ბავშვი, რომელთაგან ერთი გარდაიცვალა. პოლიციამ დააკავა 51 წლის სიუ ხეპინი.

2004 წელს სამხრეთ კორეაში ნაჯახით შეიარაღებული მამაკაცი თავს დაესხა საბავშვო ბაღში ეზოში მყოფ ბავშვებს და მძიმედ დაჭრა ორი ბავშვი - 5 წლის გოგონა და 8 თვის ბიჭი, რომელსაც ურთულესი ოპერაცია ჩაუტარდა. პოლიციამ დააკავა 36 წლის ადგილობრივი მცხოვრები. მან განაცხადა, რომ წინა დღეს იგი სასტიკად სცემა იაპონელმა ემიგრანტმა და მან შური იძია იაპონელების შეილებაზე.

ამერიკული მარშრუტი რუსეთის გავლით

რუსეთის მხრიდან დასავლეთისადმი პოზიციის შერბილების პირველი ნიშანი

დათო გაბისონია

რუსეთის ფედერაცია ავღანეთში უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში და ავღანური ნარკოტრეფიკის წინააღმდეგ ბრძოლაში შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობისთვის მზად არის, - ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა განაცხადა და დასძინა, რომ **“თანამშრომლობა უნდა იყოს თანასწორი და სრულმასშტაბიანი.”**

შეერთებულ შტატებს შესაძლებლობა ეძლევა, ავღანეთში დისლოცირებული თავისი ჯარები რუსეთის ტერიტორიის გავლით მოამარაგოს. დადებული შეთანხმება, რომელსაც ავღანეთში ამერიკული არმიის წარმატებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებენ, აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის მხრიდან დასავლეთისადმი პოზიციის შერბილების პირველი ნიშანია. ამ დოკუმენტზე წინასწარი შეთანხმება აპრილში ნატო-ს სამიტზე შედგა. თუმცა აგვისტოს ხუთდღიანი ომის დროს, საქართველოსადმი ვაშინგტონის მხარდაჭერით განრისხებული რუსეთი ხელშეკრულებაზე უარის თქმით იმუქრებოდა. დასავლეთზე განწყობებულმა რუსეთმა აგვისტოს შემდეგ ნატო-სთან სამხედრო თანამშრომლობა მთლიანად შეაჩერა.

ობამას ადმინისტრაციასთან გაფორმებული ახალი შეთანხმება ურთიერთობების დათბობის პირველი ნიშანია. ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში აშშ-ს შეიარაღებული ძალების მეთაურმა, გენერალმა დევიდ პეტრაუსმა განაცხადა, რომ ხელშეკრულებას, როგორც იქნა, ხელი მოეწერა.

“შეთანხმების თანახმად, შეერთებულ შტატებს შესაძლებლობა ექნება, ავღანეთში საჭირო რესურსები, ჩრდილოეთის დერეფნით, რუსეთიდან ყაზახეთისა და უზბეკეთის გავლით ჩაიტანოს,” - აღნიშნა გენერალმა. დოკუმენტი ამსუბუქებს დამოკიდებულებას პაკისტანის პორტ ყარაჩზე გამავალ სახიფათო მარშრუტზე (მას ისლამისტი მებრძოლები ხშირად ესხმიან თავს).

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ავღანეთის საკითხის მოგვარებაზე ამერიკის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად დაასახელა. იგი მზადაა, 2009 წლის ბოლოსთვის 30 ათასამდე გაზარდოს ავღანეთში მოქმედი ამერიკული შეიარაღებული ძალების რაოდენობა. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ავღანეთის საკითხის მიმართ ბარაკ ობამას დამოკიდებულებას მიესალმა, თუმცა განმარტა, რომ მოსკოვს სიტუაციის რეგულირებაში უფრო მნიშვნელოვანი როლის შესრულება სურს. მან დასავლეთს ახალი საერთაშორისო ფორმატის განსაზღვრა შესთავაზა, რომელიც, მისი აზრით, ავღანეთის პრობლემას უფრო ეფექტიანად გადაწყვეტს.

“ვიმედოვნებ, რომ ავღანეთის გარშემო შექმნილი სირთულეების რეგულირებ-



AFP • 2009

ის საკითხში ახალი ადმინისტრაცია უფრო წარმატებული იქნება,” - განაცხადა მედვედევმა უზბეკეთის პრეზიდენტ ისლამ კარიმოვთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე.

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ რუსეთის პოზიციას დადებითად აფასებენ შეერთებულ შტატებშიც. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანი რობერტ ვუდი მედვედევის განცხადებას გამოეხმაურა. მან განმარტა, რომ ბარაკ ობამამ ავღანეთის პრობლემის მოგვარების საკითხში თავის სპეციალურ წარმომადგენლად რიჩარდ ჰოლბრუკი დანიშნა. იგი იყო 1990-იან წლებში პრეზიდენტ კლინტონის წარმომადგენელი ბალკანეთში და მან ბოსნიაში ომის შეწყვეტას მიაღწია. ეს თავისთავად აჩვენებს, თუ როგორი სერიოზულობით ეკიდება ახალი ადმინისტრაცია ავღანეთში სტაბილურობის მიღწევის საკითხს. რაც შეეხება ხელშეკრულებას, **“რუსეთის ფედერაციასთან ერთობლივ მუშაობას საკვანძო მნიშვნელობა ექნება. მოხარულნი ვიქნებით, თუ ავღანეთის საკითხზე რუსეთთან ვითანამშრომლებთ,”** - აღნიშნა ვუდი.

თავის მხრივ, აშშ-სა და ნატო-ს მიმართ მოთხოვნები აქვს ოფიციალურ ქაბულსაც. ავღანეთის ხელისუფლების თქმით, კოალიციამ თავი უნდა შეიკავოს მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში საჰაერო დარტყმებისაგან. უმჯობესია, მათ ავღანეთის შეიარაღებულ ძალებთან კოორდინირებულად იმოქმედონ. ნატო-ს წარმომადგენლები ავღანეთის პოზიციას გააგებთ შეხვედნის. მათი თქმით, **“დაწყებულია კონსტრუქციული დიალოგი ავღანეთის მთავრობასთან და აუცი-**

ლებლად იქნება გათვალისწინებული ის საკითხები, რომლებიც ქაბულის შემფოთებას იწვევს.”

ურთიერთობა ტაშკენტთან

აშშ-სა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულებით, ნატო-ს რესურსების მომარაგებისთვის სატრანზიტო გზამ უზბეკეთზე უნდა გაიაროს. დასავლეთსა და ტაშკენტს შორის ურთიერთობა 2005 წელს გაუარესდა. მას შემდეგ, რაც ანდიჟანში უზბეკეთის უშიშროების ძალებმა ცეცხლი გაუხსნეს დემონსტრანტებს და სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, 200-დან 700 ადამიანამდე დაიღუპა. ამას მოჰყვა ევროკავშირისა და შეერთებული შტატების მწვავე კრიტიკა, საპასუხოდ კი უზბეკეთის პრეზიდენტმა კარიმოვმა რუსეთთან დაახლოება დაიწყო და კარში მიღებულ ამერიკული სამხედრო ბაზა დახურა. ამასთანავე, უზბეკეთმა სწორედ მაშინ გამოთქვა ევრაზიის ეკონომიკურ თანამშრომლობაში გაწევრიანების სურვილი, სადაც ნამყვანი როლი რუსეთის ფედერაციას აკისრია. აშშ-სთან შეთანხმების მიღწევამდე, კარიმოვმა და მედვედევმა, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის (მასში შედიან ჩინეთი, რუსეთი, ინდოეთი და ცენტრალური აზიის სახელმწიფოები) ეგიდით, ავღანეთის საკითხისადმი მიძღვნილი კონფერენციის გამართვის სურვილი გამოთქვეს. ამ დროისთვის უცნობია, მიინვევენ თუ არა კონფერენციაზე შეერთებული შტატებისა და ნატო-ს წარმომადგენლებს.

უზბეკეთისა და რუსეთის პრეზიდენტების მიერ ტაშკენტში ერთობლივად გამართ-

ულ პრესკონფერენციაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ ავღანეთის პრობლემა არ გართულებულა იდეოლოგიური სტერეოტიპების არსებობის გამო, თუმცა ავღანელი ხალხის ნაციონალური ტრადიციის, ისტორიის გათვალისწინების გარეშე არსებული სირთულეების მოგვარება შეუძლებელია.

პრესკონფერენციაზე უზბეკეთის პრეზიდენტი კარიმოვი ბევრად ხისტი იყო. **“უნდა გავაცნობიეროთ, რომ რაც უფრო მეტი უცხოელი ჯარისკაცი იმყოფება ქვეყნის ტერიტორიაზე, მით უფრო მეტად აქვს ამას ოკუპაციის ხასიათი. ამის მაგალითი გვაქვს ერაყსა და ავღანეთში,”** - განმარტა ისლამ კარიმოვმა.

უზბეკეთის პრეზიდენტის პოზიციის მიუხედავად, შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის შეთანხმება მიღწეულია. გარდა ამისა, ეს ფაქტი ვაშინგტონს პაკისტანის მთავრობის მიმართაც აძლევს დამატებით დიპლომატიურ ბერკეტებს. პაკისტანის ხელისუფლებას ადანაშაულებენ, რომ იგი აშშ-ს დამოკიდებულებას თავისი სატრანზიტო მარშრუტის გამო იყენებს - მან “შინაური წარმოების” ტერორიზმის პრობლემის გადაწყვეტა ვერ შეძლო და ამიტომ ამას საერთაშორისო პრობლემად წარმოაჩენს.

რაც შეეხება მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ძველებური ურთიერთობის აღდგენას, ეს, შეთანხმების მიუხედავად, ნაკლებად საგარაუდოა. ამთვის დასაწყისში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდა, **“გაცნობიეროს პოსტამერიკული სამყაროს რეალობა.”**

კუბის ლიდერი მოსკოვს იანვრის ბოლოს ეწვევა

რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრემიერ იგორ სეჩინის განცხადებით, კუბის ლიდერის ოფიციალური ვიზიტი რუსეთში იანვრის ბოლოს იგეგმება.

სეჩინის განმარტებით, რუსეთისა და კუბის პირველი პირების ოფიციალური შეხვედრები 30 იანვარს გაიმართება. **“ამ ეტაპზე კუბის პრეზიდენტ რაულ კასტროს რუსეთში ვიზიტის დეტალები განიხილება,”** - დასძინა ვიცე-პრემიერმა. მისი განმარტებით, ხელი მოეწერა რუსეთისა და კუბის სახელმწიფოთაშორისი კომისიის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტს. რუსეთის “ეროვნული ნავთობკონსორციუმისა” და კუბურ “კუბა პეტროლიუმის” ხელმძღვანელებმა ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმსაც მოაწერეს ხელი.

რუსული კონსორციუმი და “კუბა პეტროლიუმი” კუბაში ნავთობის მრეწველობის განვითარებისთვის კონტრაქტის ტექსტზე მუშაობენ. სეჩინის განმარტებით, თანამშრომლობა ნავთობის სფეროში სამხრეთი პროექტის განხორციელებისაკენ იქნება მიმართული, რომელშიც კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებიც მიიღებენ მონაწილეობას. თანამშრომლობა ზღვის ნავთობ ტერმინალების განვითარების სფეროში ერთობლივ მუშაობას ითვალისწინებს.

ვიცე-პრემიერის განმარტებით, რუსეთის “ეროვნული ნავთობკონსორციუმი” შემავალი კომპანიების მუშაობა გეოლოგიური დაზვერვის, ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების, ასევე ტრანსპორტირების კუთხით გაგრძელდება. ხელმოწერილი მემორანდუმი რუსეთსა და კუბას შორის ორმხრივი თანამშრომლობის შესაძლებლობასაც არ გამოიცხავს.

რუსეთის “ეროვნული ნავთობკონსორციუმი” 2008 წლის 8 ოქტომბერს დაარსდა და მისი 20-პროცენტის ნილის მფლობელები არიან “როსნეფტი”, “გაზპრომი”, “ლუკოილი”, “სურუტნეფტგაზი” და ტრანსნაციონალური კომპანია გა.

ჯი-ეიზ-ენი

რუსეთში უმუშევართა რაოდენობა 6 მილიონს გადააჭარბა

“ეხო მოსკვისათვის” შრომისა და დასაქმების ფედერალური სამსახურის უფროს იური გერცის მიერ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნულია, რომ რუსეთში უკვე 6 მილიონზე მეტი უმუშევარია.

“მასობრივი უმუშევრობა, რომელიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდის მიხედვითაა შეფასებული, უმუშევართა საშუალო მაჩვენებელია, რომელიც ეკონომიკური ვარდისა და მისგან გამოწვეული მიმდევრებიდან არ გამომდინარეობს. იგი ზოგად სურათზე დიდ გავლენას ვერ ახდენს, რადგან ეს ის ციფრია, რომელიც მსოფლიო ეკონომიკისათვისაც დამახასიათებელია,” - განმარტა გერცმა.

6 მილიონი უმუშევარი დასაქმებული მოსახლეობის 6-პროცენტს შეესაბამება. რუსეთში ოფიციალურად რეგისტრირებულ უმუშევართა რიცხვი 1,5 მილიონს შეადგენს.

ჯი-ეიზ-ენი

ისლანდიაში ვადამდელი არჩევნები დაინიშნა

სააგენტო “ფრანსპრესი” ისლანდიის პრემიერ-მინისტრ გეირ ჰორდის განცხადებაზე დაყრდნობით იუწყება, რომ ქვეყანაში ვადამდელი არჩევნები მიმდინარე წლის 9 მაისს ჩატარდება.

ისლანდიაში ვადამდელი არჩევნების დაინიშნა საპროტესტო აქციების ტალღას უკავშირდება, რომელიც მასობრივ არეულობებში გადაიზარდა. რეიკიავიკში მთავრობის გადადგომის მოთხოვნით რამდენიმე დღის წინ გამართული საპროტესტო აქციის დასაშლელად პოლიციის ცრემლსადენი გაზის გამოყენება მოუწია.

აღსანიშნავია, რომ ისლანდიის ეკონომიკა მსოფლიო კრიზისის შედეგად მნიშვნელოვნად დაზარალდა. მთავრობის გადადგომის მოთხოვნა გლობალურ კრიზისის უკავშირდება, რომელიც მოსახლეობის დიდი ნაწილის შეფასებით, მდგომარეობის გამოსასწორებლად ქმედითი ზომების მიღებას ვერ ახერხებს.

ჯი-ეიზ-ენი

საფრანგეთსა და ესპანეთში შტორმის შედგად 15 ადამიანი დაიღუპა

საფრანგეთსა და ესპანეთში მომხდარ შტორმს, რომელიც წამში 48 მეტრი სიჩქარით ვრცელდებოდა, 15 ადამიანის სიცოცხლე შეინარა. კატალონიის ერთ-ერთ ქალაქში სპორტული ცენტრის სახურავის ახდის შედეგად 4 მცირეწლოვანი ბავშვი დაიღუპა, ათეულობით ადამიანმა კი სხეულის სერიოზული დაზიანებები მიიღო.

4 ადამიანი შტორმის შედეგად მოგლეჯილი ხეების ქვეშ მოჰყვა, კიდევ 4-მა მძიმე დაზიანებები საცხოვრებელი სახლების ნგრევის შედეგად მიიღო. შტორმის გამო დაკეტულია პორტო, ბიარისისა და ტულუზის აეროპორტები, შეჩერებულია სარკინიგზო მიმოსვლა.

საფრანგეთსა და ესპანეთში მომხდარი შტორმი 1999 წლის შემდეგ რეგიონში ყველაზე გამანადგურებელ სტიქიად შეფასდა. 1999 წელს მომხდარი სტიქიის შედეგად 88 ადამიანი დაიღუპა.

ჯი-ეიზ-ენი

აიციტეთ ეურსის ცვატებადობის რისკი!



გახსენით
ეკონომიკური რისკები ანაბარი
ბანკი "რესპუბლიკაში"!

 **ბანკი რესპუბლიკა**
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსოტა ჟანარანი

თქვენი ანაბრის ვალუტის ურსი ეცემა?

უონვერტირებადი ანაბარი გაძლევთ საშუალებას, გადაიტანოთ თქვენი დანაზოგი სხვა ვალუტაში და თანაც შეინარჩუნოთ ანაბარზე დაგროვილი სარგებელი.

თუ გახსნილი გაქვთ უონვერტირებადი ანაბარი ბანკ “რესპუბლიკაში”:

- ანაბარზე განთავსებულ თანხას გაანაღდებთ ნებისმიერი ვალუტით
- მიიღებთ მაღალ სარგებელს – **14%-მდე**
- ხართ მსოფლიო საბანკო ჯგუფ “სოსიეტე ჟენერალის” პატივცემული მენაბრე

უონვერტირებადი ანაბრის გასახსნელად ეწვიეთ ჩვენს ნებისმიერ ფილიალს:

თბილისის ფილიალების ქსელი

სათავო ოფისი	გრ. აბაშიძის ქ. 2	925555
ცენტრალური ფილიალი	გრ. აბაშიძის ქ. 2	925555
დელისის ფილიალი	აღ. ყაზბეგის გამზ. 47	312161
სადგურის ფილიალი	რუინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია	910600
დიდუბის ფილიალი	ნურეთლის გამზ. 10	345556
პეკინის ფილიალი	პეკინის გამზ. 28	433355
გლდანის ფილიალი	ხიზანიშვილის ქ. 20	590550
ისნის ფილიალი	ნავთლელის ქ. 6/2	243737
ფალიაშვილის ფილიალი	ფალიაშვილის ქ. 33ა	912237
ჭავჭავაძის 24 საათიანი ფილიალი	ჭავჭავაძის გამზ. 13	925555
ალმაშენებლის ფილიალი	ალმაშენებლის გამზ. 112	243585
ვაჟა - ფშაველას ფილიალი	ვაჟა - ფშაველას გამზ. 71	244114
დიღმის ფილიალი	დიღმის მასივი, I კვარტალი, I ბ კორპუსი	518515
სანზონის ფილიალი	გურამიშვილის გამზ. 34	653515

რეგიონების ფილიალების ქსელი

ქუთაისის ფილიალი	გრინაშვილის ქ. 6	8(231) 58888
ბათუმის ფილიალი	ქუთაისის ქ. 6	(888 222) 32810
ბათუმის 24 საათიანი ფილიალი	გოგებაშვილის ქ.24	(888 222) 759 26
სამტრედიის ფილიალი	რაზმაძის ქ. 2	8 (211) 21353
ზუგდიდის ფილიალი	ზვ. გამსახურდიას გამზ. 34	8 (215) 50008
რუსთავის ფილიალი	მეგობრობის გამზ. 20	8(24) 12 55 55
ფოთის ფილიალი	ალმაშენებლის ქ. 50	8 (293) 7 00 87
თელავის ფილიალი	მარჯანიშვილის ქ. 4	8 (250) 70040
სიღნაღის ფილიალი	თამარ მეფის ქ. 1	8 (255) 31037

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით 24 საათის განმავლობაში:

(8 22) 92 55 55

www.republic.ge



ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი



აფიშა

26 იანვარი
თეატრი

თეატრი ვერიკო
"ეს რა წიგნი ყოფილა?"
დასაწყისი: 19.00

კინო

"ამირანი"
რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"
დასაწყისი: 15.15; 17.30; 19.30; 20.00; 22.15
"პატარძლების ომი"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 16.45; 18.30; 20.30; 22.15;
"ნადირობის სეზონი 2"
დასაწყისი: 12.00; 13.30;

"რუსთაველი"
"რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"
დასაწყისი: 12.15; 15.00; 17.15; 19.30; 22.00
"ნადირობის სეზონი 2"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00 ; 19.00 ; 21.00
"დღეს, როცა დედამინა გარდა"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.15; 19.15; 21.30
"ტრანსპორტერი III"
დასაწყისი: 13.45; 15.45; 17.45; 19.45; 21.45
"არწივის თვალი"
დასაწყისი: 12.45; 15.15; 17.30; 20.00; 22.15
"ავსტრალია"
დასაწყისი: 12.30; 15.30; 18.30; 21.30

გალერეა

"ქარვასლა"
ირაკლი გოგიას გამოფენა
ხეზე ნაკვეთი კომპოზიციები

"ორნამენტი"
ტიხრული მინაქრის მუდმივი გამოფენა

"შარდენი"
ლევან მარგინის ნამუშევრების გამოფენა

N გალერეა
სანდრო ანთაძის პერსონალური გამოფენა

"ვერნისაჟი"
გიორგი გაგოშიძის გამოფენა
"აბასთუმანი, აბასთუმანი..."

ჰობი
როკო ირემაშვილის პერსონალური გამოფენა
ფერწერა, გრაფიკა

გოია არ არის „კოლოსის“ ავტორი!



მადრიდის პრადოს მუზეუმში ერთობ საინტერესო აღმოჩენის წინაშე დავდევნებ. თუ აქამდე ფიქრობდნენ, რომ იქ დაცული ერთ-ერთი ცნობილი ტილოს - "კოლოსი", ავტორი ფრანსისკო გოია გახლდათ, დრეს ინრმუნებთან, რომ სინამდვილეში ნამუშევარი გოიას მოსწავლემ, ასენსიო ხულიამ შექმნა. ამ დასკვნამდე პრადოს ექსპერტები მივიდნენ. მაგრამ როგორც სააგენტო "Associated Press" იუწყება, "კოლოსის" შესახებ მოხსენების ოფიციალური პიბლიკაცია და ნახატის სტატუსის შეცვლა უახლოესი მომავლის საქმეა. "კოლოსი" 1808 წელს ან ოდნავ მოგვიანებით არის შესრულებული, მისი ავტორობის საკითხი საკამათო 2001 წლიდან გახდა. 2008 წლის აპრილიდან ეს ნამუშევარი არ შეიტანეს გოიას რეტროსპექტულ გამოფენაში, ხოლო ივნისში ასენსიო ხულიას საჯაროდ ავტორობაზე ინფორმაცია პრესაშიც ფართოდ განიხილებოდა. "კოლოსი" გოიას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნამუშევრად ითვლებოდა, რომელიც ესპანეთისა და საფრანგეთის 1808-1814 წლების ომთან დაკავშირებით შეიქმნა. მის შესახებ შემონახულია მარლ ბოდლერის აღფრთოვანების სიტყვები.

ეზიასი მართლაც დეტალური იმალა

სოფიო თოდაა

როგორც მოსალოდნელი იყო, პრეზიდენტის ოთხსაათიანმა პირდაპირმა ეთერმა საზოგადოებრივი აზრი ორად გაყო: ხელისუფლების მომხრეები ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ სიტყვის თავისუფლების თვალსაზრისით ჩვენ არანაირი საფრთხე არ გვემუქრება; ხელისუფლებაზე განაწყენებულებსაც ასევე სჯერათ, რომ დამოუკიდებელი მედია ჩვენთან მხოლოდ ფიქციაა. მე პირადად ჩემს კოლეგას ზვიად ქორიძეს ვეთანხმები და ვფიქრობ, მან ზუსტად დაახასიათა მდგომარეობა, რაც კონკრეტულად პრეზიდენტის გამოსვლას, ზოგადად კი მთელ საქართველოს მიესადაგება: ფორმით დემოკრატიული, შინაარსით კი... სამწუხაროდ, ამ ფრაზის დასასრული, უფრო სწორად, სრული კომენტარი ვერ მოვისმინე - ასევე ჩვენმა კოლეგებმა დამოუკიდებელი ტელეკომპანიებიდან მას სიტყვა გაწყვეტინეს, თუმცა ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რას გულისხმობდა ჟურნალისტი. პრეზიდენტის გამოსვლის დეტალები კიდევ დიდ ხანს რომ მოექცევა საზოგადოების ყურადღების ცენტრში, ეს უდავოა. აქვე იმასაც დავძენ, რომ ტრადიციულად ბეჭდვითი მედია გაცილებით მწვავე შეკითხვებს სვამს, რაზედაც პრეზიდენტი, ასევე ტრადიციულად, ან საერთოდ არ გვპასუხობს, ან გაღიზიანებული ტონით გვმოძღვრავს.

ვინ ქმნის დღეს ჩვენს ქვეყანაში საინფორმაციო პოლიტიკას და ვინ მართავს მედიას (სხვათა შორის, მხოლოდ ხელი-სუფლებას არ ვგულისხმობ), ამ თემაზე ლაპარაკი მანამდე არ დასრულდება, სანამ მართლა დემოკრატიულ სახელმწიფოს არ ავაშენებთ. მე უფრო ის მანუხებ, რასაც თვითცნებურაჰქვეა და უკვე იმ თემების გაშუქების დროსაც იჩენს თავს, რომელთაც, ერთი შეხედვით, არაფერი არა აქვთ საერთო პოლიტიკასთან. ამის საუკეთესო მაგალითი იყო ტელეკომპანია

"იმედის" თითქოსდა უწყინარი სიუჟეტი გასულ შაბათს, რომელმაც, შესაძლოა, იმაზე მეტად ჩაგვაფიქრა, ვიდრე პრეზიდენტის დამუნათებამ, რომ ჩვენ მხოლოდ საკუთარ პუბლიკაციებს ვკითხულობთ (სხვათა შორის, არც უამისობაა, სამწუხაროდ). სიუჟეტი ეხებოდა ქართველი მხატვრების გამოფენას ჰოლანდიის ერთ-ერთ საუკეთესო და მთელს ევროპაში ცნობილ საგამოფენო სივრცეში, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის მეუღლის სანდრა-ელისაბედ რულოვის ძალისხმევით მოეწყო.

რა შევითქვით ამ სიუჟეტით, რომელიც ამ მართლაც ღირსშესანიშნავი მოვლენის გასაშუქებლად ჰოლანდიაში საგანგებოდ მივლინებულმა ჟურნალისტმა მოამზადა? მხოლოდ ის, რომ ჰოლანდიაში 27 ქართველი მხატვრის ნამუშევარი ექსპონირებული. სადღაც ბოლოსკენ ჟურნალისტმა მაინც ამოღერდა, რომ მალე მათ ნიკალას (არც ნიკო ფიროსმაშვილის, არც ნიკო ფიროსმანის, ფამილარულად ნიკალასი, თითქოს საკუთარ პაპაზე ლაპარაკობდა) ტილოც დაემატება და ერთი სიტყვაც არ თქმულა, მაინც, რომელი მხატვრების ნამუშევრებია ჰოლანდიაში გამოფენილი. არადა, ჩვენთანაც მრავლად მოიძებნება ისეთი მაცურებელი, რომელიც ხელოვნებასთან მწყრალად არ არის და, აქედან გამომდინარე, აუცილებლად გაუჩნდება ასეთი კითხვა მაინც: რა ნიშნით შეირჩა ექსპოზიცია და ხელმძღვანელობდნენ თუ არა ამ გამოფენის კურატორები რაიმე კონცეფციით? ალბათ ასეც იქნებოდა და ისიც მჯერა, რომ ჰოლანდიაში ბევრი ნიჭიერი ქართველი მხატვრის ტილო, ნახატი, ფოტო, სკულპტურა თუ ინსტალაცია ნარმოდგენილი. რატომ არ მოხვდა ეს საჭირო და აუცილებელი ინფორმაცია სიუჟეტში? ამ შემთხვევაში საქმე მხოლოდ უეცრობასთან არა გვაქვს - ბოლოს და ბოლოს, ყველაზე ცუდი უმაღლესი სასწავლებლების ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზეც ასწავლიან, რომ ნებისმიერი

რეპორტაჟი კონკრეტული ფაქტით ან მოვლენით არის განპირობებული და თუ ავტორი ოცდაშვიდზე მხატვრის სახელსა და გვარს არ ჩამოარაკრავს, შვიდი ხელოვანის დასახელებას მაინც მოახერხებდა. სამაგიეროდ, "ტელემედის" კორესპონდენტმა, რომლის სახელი და გვარი ვერ დავიმახსოვრე, თორემ ნამდვილად არ დამაბრკოლებდა ამქრული ერთგულება, სრულად მოგვასმენინა სანდრა რულოვისა და ბენელუქსის ქვეყნებში საქართველოს ელჩის მია ფანჯიკიძის კომენტარები. არა მგონია, ან პირველ ლედის, მით უფრო კი ქალბატონ მაიას, ჟურნალისტიკისთვის დირექტივები მიეცა - ჩვენ გვალაპარაკეთ, მაგრამ იმ მხატვრებზე, ვისთვისაც აქ ვიმყოფებით, ერთი სიტყვაც არ დაგცდეთო (გასაიდუმლოების ტენდენცია უფრო იმ ინსტანციებში შეიმჩნევა, რომელთაც სახელოვნებო სფეროს კურატორობა ევალებათ, რაზედაც მეტყველებს ყველა ის "მშვენება", რაც ასე მრავლად მომოფანებული ჩვენს ტურფა ქვეყანაში). ასეთ დირექტივებს, ჟურნალისტს, როგორც ჩანს, მისი უშუალო უფროსები აძლევენ. მან ზუსტად იცის, რაზე უნდა გააკეთოს აქცენტი და რა ფორმით მიაწოდოს ინფორმაცია მაცურებელს. ეს რომ ერთეული შემთხვევა იყოს, როგორმე გადავიტანდით, მაგრამ მსგავსი სიუჟეტები, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე კულტურის ამბების გაშუქებას ეხება, ტენდენციად იქცა: ლაპარაკობს მინისტრი და ძალზე იშვიათად, ისიც საშინელი კუპიურებით, მხატვარი, მუსიკოსი, არქეოლოგი, მეცნიერი, მწერალი, რესტავრატორი თუ მოცეკვავე. რაც შეეხება ხსენებულ სიუჟეტს, იქ მაცურებელს მხოლოდ შემდეგი უნდა გაეგო: რომ ეს გამოფენა პრეზიდენტის ცოლის პატრონაჟით მოეწყო; რომ ამისთვის მხატვრებმაც და მხატვრობის მოყვარულმა საზოგადოებამაც მადლობა პრეზიდენტის ცოლს, ანუ სახელმწიფოს უნდა გადაუხადონ და არა, პირიქით; რომ მთავარია, მაცურებელმა იხილოს, რამდე-

ნად კარგად წარსდგნენ საზოგადოების წინაშე პრეზიდენტის მეუღლე და საქართველოს ელჩი ევროპის ერთ-ერთ ყველაზე თავისუფალ ქვეყანაში; რომ ქართველი ჟურნალისტიკისთვის, განსაკუთრებით ტელეკომუნიკაციებისთვის, უცხოეთში "პაუზაგადაღობა" გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთი-ორი წიგნის გადათვალთვლება მაინც.

არის თუ არა ეს ყველაფერი კავშირში ინფორმაციული პოლიტიკის შემუშავებასთან ხელისუფლების სასარგებლოდ? ვფიქრობ, რომ არის. ამიტომ თავს უფლებას მივცემ, ზვიად ქორიძის ფრაზა, რომლის დასასრული ჯოუტად არ მომასმენინეს, ჩემი სიტყვებით დავამთავრო: პრეზიდენტის გამოსვლა იყო ფორმით დემოკრატიული, შინაარსით კი - ავტორიტარიული. რა თქმა უნდა, ეს კარიანტი უკეთესია, ვიდრე ლენინის ცნობილი რეცეპტი სიცილისტური ფორმისა და ეროვნული შინაარსის დაწყვილების შესახებ - თუნდაც იმიტომ, რომ გასულ საუკუნეში ბევრი ავტორიტარიული და, ასე განსაჯეთ, ტოტალიტარული ქვეყანა დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სისხლისღირს გარეშე. რაც შეეხება იმ ქართველ მხატვრებს, რომელთა ნამუშევრებთანაც ამ დღეებში ევროპელები ტკბებიან, მათ შესახებ ჩვენი გაზეთი აუცილებლად დაწერს, თანაც დაწვრილებით, რაც ერთხელაც ადასტურებს სამწუხარო ჭეშმარიტებას: ბეჭდვითი მედია საქართველოში ბევრად უფრო თავისუფალია, ვიდრე ელექტრონული, თუ რა მიზეზით, ამას მკითხველი თავადაც მიხვდება.

P.S. ეს გამოფენა "რუსთავი 2"-ის კვირის საინფორმაციო გამოშვებამაც გააშუქა - ისინი უფრო წინ წავიდნენ: მართალია, მხატვრების ვინაობა მათაც არ გაუხსენიათ, მაგრამ სპონსორები მაინც დაასახელეს. ესეც საქმეა. სამწუხაროდ, "პირველი არხისთვის" არ მიყურებია, თუმცა ვთვლი, რომ განსაკუთრებული ორიგინალობით არც ეს ტელეკომპანია გამოირჩევა.

ფოტოგრაფები და მხატვრები დაიბნენ



რათი გამოიყენა. მხატვარი, ასეთი ხერხით კარიუს უფლებების დარღვევისთვის ბრალდებულია. თავის ნამუშევრებში პრინსმა ფოტოსურათების გაადიდა და მათ ზედსაღებავები და აპლიკაციები და-

მატა. პრინსმა და გაგოსიანმა The Art Newspaper-სთვის კომენტარის მიცემაზე უარი თქვეს. მიუხედავად ამისა, გამომცემლობა აღნიშნავს, რომ რიჩარდ პრინსი ადრე უკვე გახლდათ ანალოგიურ სა-

ქმესთან დაკავშირებით მოპასუხე მხარე სასამართლოში. 1980 წელს მხატვარს ფოტოგრაფი ჰარი გროსი საკუთარი ნამუშევრების - Spiritual America-ს არაკანონიერად გამოყენებისთვის უჩიოდა. 1990 წელს Marlboro-ს რეკლამასთან ერთად გაკეთებულმა სერიამ რამდენიმე კომერციული ფოტოგრაფის მხრიდან პროტესტის გრძობა გამოიწვია. თავად პრინსმა სხვათაშორის განაცხადა, რომ "ლიცენზიის გარეშე მუშაობს" და თავის თავს "სათანადო მხატვარს" უწოდებს. რიჩარდ პრინსის ნამუშევრები აუქციონებზე რამდენიმე ათასიდან დაწყებული 3-4 მილიონ დოლარამდე შეფასებული. სააგენტო ArtTactic Lts-ს მიერ ცოტა ხნის წინ ჩატარებული გამოკითხვით, პრინსი ერთ-ერთ ყველაზე მერსპექტიულ მხატვრად იქნა დასახელებული.

ჟოლოს მქავე გემო

დაასახელეს "ოქროს ჟოლოს" ნომინანტები

"ოსკარის" ნომინანტების დასახელებამდე ზუსტად ერთი დღით ადრე, ცნობილი გახდა იმ ფილმების, მსახიობებისა და რეჟისორების ვინაობა, ვინც ანტიოსკარის, ანუ "ოქროს ჟოლოს" მისაღებად "იბრძობებიან". ჟოლოს მფლობელთა ვინაობას ასევე ერთი თვის შემდეგ, ამერიკის კინოაკადემიის დაჯილდოების ცერემონიაში 24 საათით ადრე შეეცდებით, მანამდე კი ნომინანტებს გავეცნოთ.

ყველაზე ცუდი ფილმების ნომინაცია მეტად მრავალფეროვანი და ამავდროულად ცოტა უსამართლოცაა. მაგალითად ძმები ვაჩოვსკების "სპიდ რეისერი" 2008 წლის ერთ-ერთი ყველაზე სანახაობრივი ნამუშევარია, საოცარი დინამიკა აქვს და პერსონაჟებიც ძალიან დახვეწილია. ფილმის ვიზუალური მხარე იმდენად ლამაზია, რომ თითქმის ორი საათის განმავლობაში ძნელია ეკრანს თვალი მოსწყვიტო. მიუხედავად ამისა, "სპიდ რეისერი" მაინც მოხვდა "ოქროს ჟოლოს" მთავარ ნომინაციაში. აქვეა წლის მართლაც ყველაზე უიღბლო კომედიები: "კატასტროფების ფილმი" და "გაიცანით სპარტანელები", პარის ჰილტონის "ლამაზმანი და მახინჯი", მაიკ მეიერის ძალიან ცუდი "სიყვარულის გურუ", ოდესლაც კომედიის მეფედ აღიარებული ედი მერფის "გაიცანით დეივი", სილვესტერ სტალონეს "რემბო" და წლის ალბათ მართლაც ყველაზე ცუდი ფილმი (თუ მის ბიუჯეტს გავითვალისწინებთ) "დღე, როდესაც დედამინა გაჩერდა".

ფილმში კინუ რიეზი და ჯენიფერ კონელი თამაშობენ და ესაა მისი მთელი ღირსება (თუ შეიძლება კინუ რიეზის სამსახიობო ნიჭს ღირსეული ვუნოდოთ). 50-იანი წლების კლასიკური ფილმის რიეზიში მოხრობილია დედამინაზე უცხოვლანე-



ტელ კლაუტუს სტუმრობის შესახებ. კლაუტუს სრულიად სამყაროს ელჩია, რომელმაც დედამინელებს მოსალოდნელი კატასტროფის შესახებ უნდა აუწყოს, თუ ისინი არ შეწყვეტენ ომსა და ძალადობას. ვერაფერს იტყვი - ფაბულა საინტერესო და დამაინტრიგებელია - სხვა თუ არაფერი, კაცობრიობის ბედი წყდება, მაგრამ მეორეა, თუ როგორაა ეს ყველაფერი გადმოცემული. "დღე, როდესაც დედამინა გაჩერდა" მთლიანადაა მოკლებული ყველა იმ თვისებას, რის გამოც ჩვენ კინო გვიყვარს. იგი იმ უსულო საგანივითაა, რომელსაც მხოლოდ ზემოქმედების შედეგად შეუძლია გამოყენებითი გახდეს. ამას კინუ რიეზის გამეშვებული გა-

მომეტყველება ემატება, რაც საბოლოო ჯამში ფილმს უფსკრულსიკენ მიაქანებს. "ოქროს ჟოლომ" არც რიეზს დასწყვიტა გული და წლის ყველაზე ცუდი მსახიობების ნომინაციაში დიდი სიამოვნებით შეიყვანა. მას გვერდს "უმშვენებენ" იგივე სილვესტერ სტალონე, ტომ კრუზი "ვალკირიაში" გერმანელი ოფიცრის როლისთვის, ალ პაჩინო "მკვლელობის უფლებიდან", გურუ პიტკას როლის შემსრულებელი მაიკ მაიერსი, ადამ სენდლერი, "მაქს პეინი" - იგივე მარკ უოლბერგი, "უილ ფერედი, ემტონ კუჩერი და კიდევ რამდენიმე მეტ-ნაკლებად ცნობილი მსახიობი მამაკაცი. ქალი მსახიობების ნომინა-

ციას პარის ჰილტონი ლიდერობს, რომელიც უკვე იმდენჯერ იყო "ოქროს ჟოლოს" ყურადღების ღირსი, რომ ლამის ამ ჯილდოს მუზადაც აღიარონ. "ჟოლომ" არც კამერონ დიასი დაივიწყა და არც კეით ჰადსონი. აქვეა "ოსკარის" მფლობელი ჯენიფერ კონელიც, რომელსაც კარიერის განმავლობაში გადადგმული ყველაზე უგუნური ნაბიჯისთვის უწევს საფასურის გადახდა - ის კინუ რიეზის პარტნიორია ზემოთ ნახსენებ ფილმში. სიაში კიდევ ერთ ოსკაროსან რიეზი უიზერსპუნს შეხვდებით. აქვეა ევა ლონგორია და ჯესიკა ალბაც.

"ოქროს ჟოლოს" ყველაზე ცუდი ეკრანული ნყვილების ნომინაციაა აქვს. რატომღაც ამ ნომინაციაში არ მოხვდა კინუ რიეზისა და ჯენიფერ კონელის დუეტი, სამაგიეროდ სხვა საინტერესო ნყვილები გვხვდება: ფილმ "რა ხდება ლას ვეგასში" ვარსკვლავები კამერონ დიასი და ემტონ კუჩერი, ედი მერფი "გაიცანით დეივიდან", ყველა ნყვილი "მამა მიადან", მარკ უოლბერგი და მილა კუნისი ფილმიდან "მაქს პეინი", ალ პაჩინო და მისი ვარსკვლავი და სილვესტერ სტალონე და მისი ეგო.

რეჟისორების ნომინაციაში პირველობას არავის უთმობს უვე ბოლი. ეს არის ადამიანი, რომლის სახელიც დიდი ხანია სრულ ფიასკოსთან, წარუმატებლობასთან და კრახთან ირითმება, ამიტომ "ოქროს ჟოლო" მისთვის ალალი იქნება. სხვათა შორის იგი ყველაზე ცუდი კარიერისთვისაცაა ნომინირებული კინუ რიეზთან და სილვესტერ სტალონესთან ერთად. ბოლის "კონკურენტები" კი შემდეგი რეჟისორები იქნებიან: სტალონე, რომელმაც ემერისი, მ. ნაით შამალანი, დაიან ინგლიში, სკოტ დერიკსონი, ტომ პუტნამი და მარკო შნაბელი.

ყოველ ორშაბათს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და გაზეთი "24 საათი" წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული სხვადასხვა მუზეუმის გამორჩეული ექსპონატების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.



„ქარი“

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელოვნების მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების განყოფილების ქანდაკების ფონდში დაცული კოლექციებიდან აღსანიშნავია ცნობილი ქართველი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის ნამუშევრები. სწორედ მან მისცა დასაბამი ახალი ქართული ქანდაკების ზრდისა და განვითარების საქმეს. მისი შემოქმედების დასაწყისი XIX-XX საუკუნეების მიჯნას ემთხვევა (1876-1951)

იაკობ ნიკოლაძე ევროპაში ყოფნის დროს ძირითადად პარიზში ცხოვრობდა. ნიკოლაძის ორიგინალურ ნაწარმოებთა ერთ ჯგუფს როდენის შემოქმედების გავლენის უტყუარი კვალი ატყვია და სწორედ ამ ნაწარმოებთა შორის არის მის მიერ შესრულებული ძალზედ საინტერესო ნამუშევარი ქარი (ქვა.52X29X31).

ეს მცირე ზომის ქანდაკება მუქი ნაცრისფერი, თითქმის შავი ფერის ქვისგან არის გამოთლილი. ამ პატარა შეკრულ ქანდაკებაში ნათლად იგრძნობა ქარის სტიქიური ძალა: მასიურ მოხერხებულ ქვედაგამზე მოთავსებულია ქალის პატარა ფიგურა, ქარისაგან აფრიალებული კაბით...

ქვესადაგამი აფურასთან შედარებით დიდი ზომისაა, რაც ადამიანის უმწეობის შთაბეჭდილებას ქმნის. იგივეს უსვამს ხაზს ქალის მოხრილი სხეული, ქარისაგან შემოკრული კაბაც. მთელი ქანდაკების მოძრაობა ერთ ძირითად მიმართულებას ემორჩილება; სხეულის ფორმები იკითხება ტანისამოსში, თუმცა, საზღვრები ფორმებს შორის მკვეთრად მოცემული არაა. ქანდაკებისაგან რჩება ერთიანი ზედაპირისა და ზოგადი ფორმის შთაბეჭდილება. ქარის მიერ შექმნილი ნაკვეთების მიმართულება, მიუხედავად ძლიერი მოძრაობისა, მთელი ქანდაკების ფორმას კრავს.

ემოციური სიძლიერით, კომპოზიციის ოსტატობით, შესრულების მაღალი ტექნიკით, ქანდაკება ქარი ერთ-ერთი უძლიერესთაგანია იაკობ ნიკოლაძის ნაწარმოებთა შორის.

მზია კაცაძე
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ტრავოლტასგან ფულის გამოქაღვას ცდილობდნენ

ბაჰამის კუნძულების პოლიციამ ქალი და კაცი დაიჭირა, რომლებიც მსახიობ ჯონ ტრავოლტას შვილის სიკვდილის შემდეგ მისგან ფულის გამოძალგებას არიან ეჭვმიტანილები. ახალი წლის პირველ დღეს, როცა "კრიმინალური საკითხავის" ვარსკვლავური ოჯახი ბაჰამის კუნძულებზე საკუთარ სახლში ისვენებდა, 16 წლის ჯეტ ტრავოლტა უგონოდ მყოფი იპოვნეს, რომელსაც ეპილეფსიის შეტევის ნაკვალავი ეტყობოდა. მცდელობა ბიჭი გონზე მოეყვანათ წარუმატებელი აღმოჩნდა. როგორც პოლიციამ განაცხადა, სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლი და სენატორი დააკავა და დაკითხა, თუმცა ბრალდების წაყენება ვერ მოხერხდა. კუნძულის მთავრობამ არ განაცხადა, თუ როგორ ცდილობდნენ ეჭვმიტანილები მსახიობისთვის ფული გამოეძალდათ. გავრცელებული ინფორმაციით,



ჯონ ტრავოლტასგან 20 მილიონ დოლარს მოითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ჯეტის უსულო სხეულის ფოტოებს გაყიდნენ, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია დაუდასტურებელი დარჩა. სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლი ტარინო ლაიტ-

ბორიმ იმ საბედისწერო დღეს ტრავოლტას შვილი საავადმყოფოში წაიყვანა, ხოლო მოგვიანებით საქვეყნოდ განაცხადა, თუ როგორ ცდილობდა ბიჭის გონზე მოეყვანას. იგი ხუთშაბათს დააპატიმრეს, ისევე როგორც სენატორი პლენანტ ბრიჯუოტერი.

სპორტი

ომი და მხვიდლობა სპორტის სასახლეში

თბილისის მსოფლიო თასი მასპინძელთა პირველობით დასრულდა

გიბა ბურასაგვილი

ბოლო წლების თბილისის საერთაშორისო ტურნირებს შორის 2009 წლის ძიუდოს მსოფლიო თასი მრავალმხრივ დატვირთული გამოდგა. ჯერ ის, რომ ძიუდოს ევროპის კავშირის შეფოტა ქართულ მხარესთან ერთად მას თბილისის ევროპის ჩემპიონატის წინ ერთგვარ გენერალურ რეპეტიციად განიხილავდა. ევროპა კი თბილისში სრულიად აპრილში (24-26 აპრილი) შეიკრიბება. მეორე ის, რომ აგვისტოს მოვლენების შემდეგ საქართველოში რუსეთის ნაკრები, სახეობების მიუხედავად, პირველად ჩამოვიდა. და პარადოქსიც: რუსებმა საქართველოში რუსეთის ნაკრების ორი თერგდალეული იახლა. აქედან ერთი გვარი ომაძეა, მეორე ის – მშვიდლობაძე. ესეც თქვენი ომი და მშვიდობა. ეგაა, ორივე მათგანი პირველივე წრიდან გამოეთიშა თბილისის მსოფლიო თასს.

საქართველოს ნაკრები, როგორც მასპინძელი ტატამს თითოეულ წონაში ოთხ-ოთხი წარმომადგენლით შეესია. თავიდანვე ცხადი იყო, რომ გუნდური პირველობა ჩვენ – მასპინძლებს დაგვრჩებოდა. აზერბაიჯანის, ბელარუსის, ბელორუსიის, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის, იაპონიის, კანადის, ლიტვის, მოლდოვას, საფრანგეთის, საბერძნეთის, სომხეთის, პოლონეთის, პორტუგალიის, რუსეთის, შვეიცარიის, ხორვატიის, უკრაინისა და უზბეკეთის ნაკრებებს შორის საქართველოს ნაკრებმა მასპინძლობა შეიფარა – გუნდური პირველი ადგილი დაიკავა. ბუნებრივია, მსოფლიო თასის დასრულების შემდეგ ნაკრების მთავარ მწვრთნელს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

- ტურნირის როგორ შეაფასებდით?

- ხუთიანზე შევასახებდი. არ ვაჭარბებ ასე იყო. ძირითადად შემადგენლობამ კარგად წარმოაჩინა საკუთარი შესაძლებლობები. ვისი იმედიც გვქონდა, ყველამ საკუთარი საქმე გააკეთა. გამოჩნდნენ ახალგაზრდა სპორტსმენები. და საერთოდ, ამ ტურნირმა როგორც ყოველთვის დადებითი ემოციები მომგვარა.

- ახალგაზრდებიდან ვის გამოარჩევდით?

- ამირან პაპინაშვილს ლევან ჩუბინიძეს ბეთქილ შუკვანს (სამივე 60 კგ.), თენგიზ პაპიაშვილს (73 კგ.), ვარლამ ლიპარ-



საქართველოს ნაკრებმა მასპინძლობა შეიფარა.

ტელიანს (90 კგ.). კარგად წარმოაჩინა საკუთარი თავი ლევან ნიკლაურმაც (81 კგ.).

- წონითი კატეგორიების მიხედვით თუ ხარტ კმაყოფილი?

- ვისაც რა შეეძლო ის გააკეთა, მაგრამ რაც გააკეთეს კარგად გამოუვიდათ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნესტორ ხერგიანმა და ზაზა კედელაშვილმა მათთვის უჩვეულო ზედა წონებში, შესაბამისად, 66 და 73 კილოგრამ წონით კატეგორიებში, იასპარეხეს. ძირითადად არ გვყოლია დავით ქვეხიშვილი, ირაკლი ცირეკიძე. მათი ასპარეზობის შემთხვევაში გაცილებით უკეთესი შედეგი გვექნებოდა.

- მიუხედავად ამისა, 3 ოქრო, 5 ბრინჯაო, 4 ვერცხლი და იმავდროულად გუნდური პირველი ადგილი დაისაკუთრეთ...

- შედეგზე აუცილებელია არ დამცდებთ. უბრალოდ მწვრთნელის თვალით, შეიძლება უკეთესი შედეგიც ყოფილიყო. მთლიანობაში კი მეთოდურად მივიწვევთ წინ. როგორც არ უნდა იყოს, ნაკრების მომავალი ასპარეზობებისთვის გარკვეული მონახაზი მაინც არსებობს.

- ახლა რომ ტარდებოდეს ევროპის ჩემპიონატი, საკუთარ თავს რომელ წონით კატეგორიაში მისცემდით დამშვიდების საბაზს?

- დღევანდელი გადასახედიდან ყველაზე მეტად 90 კილოგრამ წონითი კატეგორიის მეიმიდება. ვარლამ ლიპარტელიანის სახით ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იზრდება. დღესდღეობით მას ბადალი არ ჰყავს.

- ...ეს ის წონაა, რომელშიც ირაკლი ცირეკიძემ პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ჩემპიონობა მოიპოვა. მათ შემთხვევაში როგორ იქნება საქ-

მე? ფაქტია, ორივეს ძალუძს შედეგებისთვის ბრძოლა, ამასთან ნებისმიერი რანგის ჩემპიონატებზე. მართალია, ცირეკიძემ წონაში მოიმატა და 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში საასპარეზოდ ემზადება, მაგრამ ასე იქნება თუ არა ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის?

- ლიპარტელიანი თუ ასევე გააგრძელებს საქმისადმი მიდგომას, ერთ-ერთი საუკეთესო იქნება. ცირეკიძეს კი ალბათ,

ზედა წონაში მოუწევს კარიერის გაგრძელება. არა, იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩვეულ წონაში ვეღარ შეძლებს წარმატებების მიღწევას, უბრალოდ წონაში დაკლება აღარ მოუწევს. ირაკლის ზედა წონაშიც შეუძლია თქვას საკუთარი სიტყვა. ყოველივე ნაკრებს წაადგება. მთლიანობაში კი 90 კილოგრამში ბევრი რამა გასარკვევი. ლონდონის თამაშებამდე კიდევ საკმარისი დროა. მომავალი გვიჩვენებს რა როგორ სჯობს ნაკრებისთვის.

60 კგ.

1. ამირან პაპინაშვილი (საქართველო)
2. ლევან ჩუბინიძე (საქართველო)
3. ბეთქილ შუკვანი (საქართველო)
3. დაისუყე ასანო (იაპონია)

66 კგ.

1. დემეტრი კლესკოვი (რუსეთი)
2. ნესტორ ხერგიანი (საქართველო)
3. ტიგრან კაზარიანი (უკრაინა)
3. დავით ლაროშე (საფრანგეთი)

73 კგ.

1. ვლადიმერ საროკა (უკრაინა)
2. ზაზა კედელაშვილი (საქართველო)
3. რუო საიტო (იაპონია)
3. თენგიზ პაპიაშვილი (საქართველო)

81 კგ.

1. მასაჰიკო ტომოუჩი (იაპონია)
2. ლევან ნიკლაური (საქართველო)
3. გრიგოლ შინჯიკაშვილი (საქართველო)
3. ანტონ ჟონენ (შვეიცარია)

90 კგ.

1. ვარლამ ლიპარტელიანი (საქართველო)
2. ანდრეი კასუზიონაი (ბელორუსი)
3. ვიქტორ სემენოვი (რუსეთი)
3. ჟონენ ისეი (შვეიცარია)

100 კგ.

1. ტაგირ ხაბიბულაევ (რუსეთი)
2. იაუენ ბაიდულინი (ბელორუსი)
3. დავით ლორიაშვილი
3. სტანისლავ სერნევა (მოლდავეთი)

მძიმე წონა

1. ადამ ოქრუაშვილი (საქართველო)
2. ლაშა გუჯეჯიანი (საქართველო)
3. დემეტრი სტერხოვი (რუსეთი)
3. ჰოროკი ტაჩიამა (იაპონია)

გედევანიშვილმა კონტინენტის პირველობა ჩააგდო

სამწუხაროდ საკმაოდ წარუმატებელი გამოდგა ელენე გედევანიშვილის გამოსვლა ფინეთში მიმდინარე კონტინენტის პირველობაზე. 19 წლის გედევანიშვილი ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად მოიაზრებოდა, თუმცა “ჰარტვაალ არენაზე” ძალიან სუსტად იასრიალა და 40 მონაწილეს შორის 25-ე ადგილზე გავიდა.

ვინაიდან ფინალში მონაწილე 24 გოგონა გადიოდა, ელენემ ასპარეზობა ნაადრევად დაასრულა და ცხადია, თავისუფალი პროგრამის შესრულები საშუალებაც აღარ ექნება.

ელენემ მოკლე პროგრამაში არაერთი შეცდომა დაუშვა, ერთ ეპიზოდში კი სრულიად უწყინარ სიტუაციაში დაეცა, რაც ქულის ჩამოკლების მიზეზი გახდა.

გედევანიშვილს ტექნიკური ელემენტებისთვის 15.56 ბალი დაუწერეს, პროგრამული კომპონენტებისთვის კი მსაჯებისგან 22.64 ქულა მიიღო.

ქართველმა გოგონამ ჯამში 37.20 ქულა მოაგროვა, როდესაც კარიერის განმავლობაში მისი საუკეთესო მაჩვენებელი 60.19 ქულაა.

“ტერეკს”

ლევან გვაზავას შეძენა უნდა

რუსეთის პრემიერლიგის გროზნოს “ტერეკმა”, უახლოეს პერიოდში შესაძლოა ვლადივოსტოკის “ლუჩ-ენერჯის” ქართველი შემტევი ნახევარმცველი ლევან გვაზავა შეიძინოს.

რუსული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, რუსული პასპორტის მქონე ქართველი, გროზნოელებს შესაძლოა მეორე შეკრებაზე, ანთალიაშივე შეუერთდეს.

ავსტრალიის ღია პირველობაზე დიდი ჩხუბი გაიმართა

სერბმა და ბოსნიელმა გულშემატკივრებმა ერთმანეთს ავსტრალიის ღია პირველობაზე დასცხეს. მასობრივი ხელჩართული ბრძოლა სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩისა და ნარმოზიტი ბოსნიელი აშშ-ს მოქალაქის ამერ დელიჩის მე-3 წრის მატჩის შემდეგ მოხდა. ჩხუბში დაახლოებით 30 ადამიანი ლეზულობდა მონაწილეობას - გააფთრებული გულშემატკივრები ერთმანეთს სკამებს, ქვეშ და ყველა საგანს უშენდნენ, რაც კი ხელში მოხვდებოდათ. შედეგად პოლიციამ დააპატიმრა ორი მამაკაცი, ერთი ადამიანი კი ჰოსპიტალში გადაიყვანეს, რომელმაც გონება დაკარგა, რადგანაც თავში რაღაც მძიმე საგანი ჩაარტყეს. მსგავსი შემთხვევა პირველი არ ყოფილა ავსტრალიის ღია პირველობაზე - 2 წლის უკან დიდი ჩხუბი ასევე სერბებსა და ბოსნიელებს შორის გამართულა.

“პალერმო” ნილმარში 18 მილიონი ევროს იხდის

იტალიის სერია A-ს საფეხბურთო კლუბმა “პალერმო”, ბრაზილიის “ინტერნასიონალს” თვადამსხმელ ნილმარის სანაცვლოდ 18 მილიონი ევრო შესთავაზა. “ჩვენ ნილმარის შემენით დიდი ხანია დაინტერესებული ვართ. ამ ვითარებაში, მთავარია ფარ-ხმალი არ დაგვაროთ. ცხადია, ასეთი ტრანსფერის განხორციელება რთულია, განსაკუთრებით იანვრის სატრანსფერო ფანჯრის დროს, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ბრაზილიელი ფორვარდი “პალერმოში” ითამაშებს” - განაცხადა “პალერმოს” პრეზიდენტმა მასურციო ძამპარინიმ.

ბლანმა კლუბთან კონტრაქტი ორი წლით გააგრძელა

საფრანგეთის საფეხბურთო პირველ ლიგაში მოასპარეზე “ბორდოს” მთავარმა მწვრთნელმა ლორან ბლანმა, კლუბთან კონტრაქტი ორი წლით გააგრძელა. ფრანგი სპეციალისტისა და კლუბის პრეზიდენტ ჟან-ლუი ტრიოს შესვენების დროს გადაწყდა, რომ ბლანი კლუბში 2010-2011 წლების სეზონის ბოლომდე დარჩება. 43 წლის მწვრთნელი, “ბორდოს” სათავეში 2007 წელს ჩაუდგა და პირველსავე სეზონში გუნდს საფრანგეთის ჩემპიონატის ვერცხლის მედლები მოაპოვებინა. მიმდინარე სეზონში, “ბორდო” “ლიონის” მთავარ კონკურენტად მოიაზრება.

სასტელი ივიცა ოლიჩს

გერმანიის ფეხბურთის კავშირმა "ჰამბურგის" 29 წლის ხორვატი თავდამსხმელი ივიცა ოლიჩი ათი დღის წინ "ჰოფენჰაიმთან" ამხანაგურ მატჩში მეტოქის ნახევარმცველ კარლოს ედუარდოსთან ჩხუბის გამო ორი ბუნდესლიგური და სამი ამხანაგური მატჩით მოკვეთა. ასეთივე სასჯელი დაედო ედუარდოსაც. არც "ჰამბურგი" და არც "ჰოფენჰაიმი" კავშირის მიერ მიღებული ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ აპირებენ. ამრიგად, ოლიჩი 30 იანვარს თავისი მომავალი კლუბის, მიუნხენის "ბაიერნის" წინააღმდეგ გასამართ შეხვედრას გამოტოვებს (და გუნდს ვერც 7 თებერვალს "კარლსრუესთან" დაემარხება).

თავდებით განთავისუფლება

გაიმართა სასამართლო მოსმენა, რომელიც "ლივერპულის" კაპიტან სტივენ ჯერარდის მონაწილეობით მომხდარ ინციდენტს მიეძღვნა. BBC-ის ინფორმაციით, საქმის განხილვა საუტპორტის სასამართლოში შედგა. ჯერარდმა მხოლოდ დაადასტურა თავისი სახელი, ასაკი და მისამართი, აგრეთვე განაცხადა, რომ უდანაშაულოა. ისევე, როგორც ადრე, ამჯერადაც "ლივერპულის" ლიდერი ჯონ დორანთან და იან სმიტთან ერთად თავდებით გაათავისუფლეს. აგრეთვე მათ იმ ბარში შესვლა აუკრძალეს, რომელიც ინციდენტს ჰქონდა ადგილი. შემდეგი მოსმენა 20 მარტს შედგება. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის 29 დეკემბერს, საუტპორტის ერთ-ერთ ბარში ჯერარდი მეგობრების კონპანიაში, "ნიუკასლზე" "ლივერპულის" გამარჯვებას ზეიმობდა. იგი ჩხუბის 5 სხვა მონაწილესთან ერთად დააპატიმრეს და მოქალაქეზე თავდასხმასა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში ამხილეს.

ბუფონი დაფიქრდა

იტალიის სერია A-ს ტურინის "იუვენტუსის" გოლკიპერი ჯანლუიჯი ბუფონი არ მალავს, რომ იმ თანხად, რომელსაც ცოტა ხნის წინ ინგლისის "მანჩესტერ სიტი" "მილანის" ბრაზილიელ შემცველ ნახევარმცველ კაკას სანაცვლოდ იხდოდა, მზადაა ტურინული კლუბი დატოვოს. ჯანლუიჯი მიიჩნევს, რომ ფეხბურთი ბიზნესია და ამიტომ, ტურინელები მხოლოდ მოიგებდნენ, თუ მას ასეთ დიდ თანხად გაასხვისებდნენ. "ვიცი, რომ ფეხბურთი დღეს დიდი ბიზნესია. ამიტომ, თუ ვინმე ჩემს კლუბს ფანტასტიკურ თანხას შესთავაზებდა, მზად ვიქნებოდი გუნდის დასატოვებლად. ეს სამართლიანი იქნებოდა "იუვენტუსის" მისამართითაც. ეს ის კლუბია, რომელთანაც ძალიან დავალებული ვარ" - განაცხადა ბუფონმა, რომელსაც "იუვენს" რიგებში 289 მატჩი აქვს გამართული.

რენენგმა მწვრთნელი გააკრიტიკა

ინგლისის პრემიერლიგის "პორტსმუთში" მოასპარეზე ჯერმინ პენანტმა, რომელიც "ლივერპულის" კუთვნილებაა, განაცხადა, რომ მან წითელმანისურია-ნების მთავარ მწვრთნელ რაფაელ ბენიტესთან საერთო ენა ვერ გამოიხატა. "ლივერპულის" შემადგენლობაში ყოფნისას, ჩემი კარიერა ქვევით წავიდა. ბოლო პერიოდში სათადარიგოთა შორისაც ვერ ვხვდებოდი. ეს ყველაფერი გასაოცარია. თუმცა, რაფა მთავარი მწვრთნელია და წინააღმდეგობის განევა არ შემძლო. არ ვიცი, როგორ ურთიერთობა მქონდა ბენიტესთან. ვფიქრობ, შემადგენლობის ნახევარმა არ იცის, თუ როგორ იმუშაოს მასთან" - ამბობს პენანტი, რომელმაც "ლივერპულის" მაისურით ჩატარებულ 55 მატჩში, 3 გოლი გაიტანა.

"ფიორენტინას" მცველის შეძენა სურს

ფლორენციის "ფიორენტინა", ლისაბონის "ბენფიკას" მარცხენა მცველ დავიდ ლუისის შეძენითაა დაინტერესებული. "ფიორენტინას" სკაუტები ბრაზილიელი განაპირა მცველის თამაშის სანახავად უკვე რამდენიმეჯერ იყვნენ ლისაბონში ჩასული და ლუისმა მათი მონიშვნა დაიმსახურა. 21 წლის სამხრეთამერიკელი, "ბენფიკაში" 2007 წლის იანვარში "ვიტორიადან" გადავიდა და პორტუგალიის ჩემპიონატში ჩატარებულ 22 მატჩში, ერთი გოლი გაიტანა. 2006 წლიდან მოყოლებული, ბრაზილიის 20-წლამდელითა ნაკრებში, მან 24 შეხვედრა გამართა.

სავიოლა გაურკვევლობაშია

მადრიდის "რეალის" არგენტინელ თავდამსხმელ ხაიერ სავიოლას სურს, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ მისი გუნდში დარჩენა-არდარჩენის საკითხი მალე გაარკვიოს. "რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდი. როდესაც მატჩიდან მატჩამდე ფეხბურთელს მოედანზე გასვლის საშუალება არ ეძლევა, იგი სულით ძალიან ძლიერი უნდა იყოს, რადგან ამ დროს, დიდი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფება. ხუანდე რამოსს პირისპირ ვესაუბარე და განვუცხადე, რომ თამაში მსურს. თუმცა, კლუბის ხელმძღვანელობას თუ სხვა პოზიცია აქვს, ჩემთვის უმჯობესია კარიერა სხვაგან გავგრძელო", - ამბობს სავიოლა.

რვენები ანტალიაში

მიხილ ახალი

ქართული კლუბები მოახლოებული სეზონისთვის განაგრძობენ მზადებას. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ლიდერთა ნაწილი უცხოეთში, კერძოდ კი თურქეთის საკურორტო ქალაქ ანტალიაში გადის სანვრთნელ შეკრებას. ამ თვალსაზრისით მიმდინარე სეზონში ანტალიაში ქართული გუნდების განსაკუთრებული სიმრავლეა. ამჟამად თურქეთში იმყოფებიან თბილისის "დინამო", "ვიტ ჯორჯია", "ზესტაფონი" და "გაგრა", რომელიც აუტსაიდერთა ჯგუფშია, თუმც სერიოზულ მზადებას გადის და ვითრების გამოსწორებას სეზონის განახლებისთანავე შეეცდება. ლიდერთაგან სახლში მხოლოდ "ოლიმპი" დარჩა, რომელმაც გუშინ მორიგი საკონტროლო თამაში ჩაატარა. ამჯერად რუსთაველთა მეტოქე იყო პირველი ლიგის წარმომადგენელი, გორის "დილა". მატჩი ფავორიტის, "ოლიმპის" ანტალიაში გამარჯვებით, ანგარიშით 1:0 დასრულდა. შეხვედრაში ერთადერთი გოლი პირველ ტაიმში გიორგი ონიანმა გაიტანა, რომელმაც თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა ზუსტად შეასრულა. ანტალიაში კი უკვე მესამე საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა საქართველოს თასის მოქმედმა მფლობელმა, "ზესტაფონმა". შეფასებებით, რომ სასტატო სანვრთნელ შეხვედრაში ზესტაფონელებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხეს უკრაინის ჩემპიონატის ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი, საფეხბურტო კლუბი "ვორსკლა" (პოლტავა).



მერეზაშვილი ანტალიაში დუბლით გაემგზავრა.

ყველაზე დატვირთული დღე იმერელთათვის 24 იანვარი გამოდგა. ამ დღეს ვიკა გეგუჩაძის გუნდმა ორი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. ზესტაფონელთა სათადარიგო შემადგენლობა, ასე ვთქვათ, "ზესტაფონი 2" უკრაინის უმაღლესი ლიგის ბინადარ ლუგანსკის "ზარიას" გაეჯობა და დიდი წინააღმდეგობის განევა ვერ შეძლო. უკრაინელებმა "მშრალი" და დიდი ანგარიშით, 4:0 დაამარცხეს რანგით დაბლა მდგომი მეტოქე. სამაგიეროდ, "ზესტაფონი 1"-მა იასპარეზა დამაჯერებლად. ძირითადი გუნდი რუსეთის პრემიერლიგულ კრასნოდარის "ყუბანს" გაეჯობა, რომელიც ჩვენს გუნდს სრული საბრძოლო შემადგენლობით დაუპირისპირდა. მატჩი "ზესტაფონის" სრული სატამაშო და ტერიტორიული უპირატესობით წარმართა. ზესტაფონელებს, სულ მცირე, ოთხჯერ შეეძლოთ მეტოქის კარის აღება. კარგი შანსი ვერ გამოიყენეს ორჯერ ნიკა

